სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური არსებობა

ედრიენ რიჩი

მთარგმნელი: მარიამ ქაჯაია

I

„ბიოლოგიურად კაცებს მხოლოდ ერთი თანდაყოლილი ორიენტაცია აქვთ: სექსუალური ორიენტაცია, რომელიც მათ ქალებისკენ მიმართავს; მაშინ, როდესაც ქალებს ორი თანდაყოლილი ორიენტაცია აქვთ: სექსუალური კაცების მიმართ და რეპროდუქციული - მათი ახალგაზრდობის მიმართ". (1)

„მე საშინლად მოწყვლადი ქალი ვიყავი, კრიტიკულად ვიყენებდი ქალურობას, როგორც კაცების გასაზომ და დასაწუნ რაღაც სტანდარტს. მე ვიყავი ანა, რომელიც კაცებში მარცხს იწვევდა სრულიად არაცნობიერად (თუმცა, მე ვაცნობიერებ ამას. გაცნობიერება ნიშნავს, რომ უკან უნდა მოვიტოვო ეს ყოველივე და გადავიქცე... რად?) უცებვე გავიჭედე იმ ემოციაში, რომელიც ჩვენი დროის ქალებისთვის ნაცნობია, რომელსაც შეუძლია, გადააქციოს ისინი ენამწარე, ლესბოსელ ან მარტოხელა ქალად. დიახ, ის ანა იმ პერიოდში იყო..." (2)

სავალდებულო ჰეტეროსექსუალობის (რომლის მეშვეობითაც ლესბოსური გამოცდილება დევიაცია-სიძულვილის სკალაზე ფასდება, ანდაც უბრალოდ უხილავი რჩება) ნეგატიური გავლენის ამოკითხვა არამხოლოდ ზემოთ მოცემული ტექსტებიდან, არამედ ბევრი სხვა ტექსტიდანაც არის შესაძლებელი. როსის დასკვნა, რომ ქალები „თანდაყოლილად სექსუალურად ორიენტირებული" არიან, ან ლესინგის მოსაზრება, რომ ლესბოსური არჩევანი უბრალოდ ბრაზის გამოხატულებაა კაცების მიმართ, ვერ იქნება მხოლოდ მათი შეხედულება. ასეთი მოსაზრებები ხშირად გვხვდება ლიტერატურასა და სოციალურ მეცნიერებებში.

კიდევ ორ საკითხს წამოვჭრი: როგორ და რატომ მოხდა, რომ ქალების გადაწყვეტილება, აირჩიონ ქალები, როგორც მგზნებარე ამხანაგები, პარტნიორები, კოლეგები, საყვარლები, თემი - დაიმსხვრა და გაქარწყლდა; იძულებული გახადეს ისინი, დაემალათ და შეენიღბათ; მეორე საკითხია ლესბოსური არსებობის ვირტუალური ან ტოტალური უარყოფა ნაწერთა ფართო ნუსხაში, ფემინისტურ სწავლების ჩათვლით. აშკარაა, მათ შორის არის კავშირი. მჯერა, რომ ამ ნაპირზე ბევრი ფემინისტური თეორია და კრიტიკა გამოირიყება.

ჩემი მაორგანიზებელი იმპულსია იმის რწმენა, რომ ფემინისტური მსჯელობისთვის საკმარისი არ არის სპეციფიკურად ლესბოსური ტექსტების არსებობა. ნებისმიერი თეორია ან კულტურული/პოლიტიკური შემოქმედება, რომელიც ლესბოსურ ყოფას აფასებს, როგორც მარგინალურს ან ნაკლებად „ბუნებრივ" ფენომენს, როგორც უბრალო „სექსუალურ პრეფერენსს", ანდა როგორც ჰეტეროსექსუალური ან კაცების ჰომოსექსუალური ურთიერთობების სარკისებურ ანარეკლს, მეტისმეტად სუსტია, რამხელა სარგებლის მომტანიც არ უნდა იყოს ის სხვა თვალსაზრისებით. ფემინისტური თეორია მეტად ვეღარ გააგრძელებს „ლესბიანიზმის", როგორც „ალტერნატიული ცხოვრების სტილის", შემწყნარებლობის მხოლოდ გაჟღერებას, ანდაც ლესბოსელების ტოკენისტურ მოხსენიებას. ქალებისთვის იძულებითი ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ფემინისტური კრიტიკა დიდი ხანია, რაც დაგვიანებულია. ამ სტატიაში შევეცდები, ვაჩვენო, თუ რატომ.

დავიწყებ მაგალითების მოყვანით და განვიხილავ ოთხ წიგნს, რომლებიც ბოლო რამდენიმე წელიწადში გამოჩნდა და სხვადასხვა პერსპექტივიდან თუ პოლიტიკური ორიენტაციიდანაა დაწერილი, თუმცა

თითოეული წარმოაჩენს თავს და განიხილება კიდეც ფემინისტურად. (3) თითოეულის საზიარო ძირეული ვარაუდია ის, რომ სქესთა სოციალური ურთიერთობები არეული და უკიდურესად პრობლემურია, თუ არა - გამთიშველი, ქალებისთვის; თითოეული ცდილობს, იპოვოს გზები ცვლილებისთვის. ამ წიგნებიდან უფრო მეტი მაქვს ნასწავლი, ვიდრე - სხვებისგან, მაგრამ მკაფიო ვიქნები: თითოეულს შეეძლო, უფრო ზუსტი, გავლენიანი, ცვლილებისთვის უფრო დიდი ძალა ყოფილიყო, ავტორებს რომ თავი ვალდებულად ეგრძნოთ, ლესბოსური არსებობისთვის ყურადღება მიექციათ, როგორც რეალობისთვის და როგორც ქალებისთვის ხელმისაწვდომი ძალაუფლებისა და ცოდნის წყაროსთვის; ან ყურადღება მიექციათ თვითონ ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუტისთვის, როგორც კაცების დომინაციის საყრდენისთვის. (4) მათში კითხვაც კი არ დასმულა, აირჩევდნენ თუ არა ქალები სხვა კონტექსტში ან სხვა თანასწორობის პირობებში ჰეტეროსექსუალურ დაწყვილებასა და ქორწინებას; იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად, ჰეტეროსექსუალობა ნავარაუდევია, როგორც ქალების უმეტესობის „სექსუალური პრეფერენსი“. არც ერთ ამ წიგნში, რომლებიც წამოწევენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დედობა, სქესობრივი როლები, ურთიერთობები და საზოგადოებრივი რეცეპტები ქალებისთვის, არ არის გამოკვლეული სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა, როგორც ძლევამოსილი ინსტიტუტი, რომელსაც ყველა ზემონახსენებ საკითხზე აქვს გავლენა; არც „პრეფერენსის“ ან „თანდაყოლილი ორიენტაციის“ იდეებს დაესმის კითხვები, თუნდაც ირიბად.

წიგნში „მისი პირადი სიკეთისთვის: ქალებისადმი ექსპერტების რჩევების 150 წელი“ ბარბარა ერენრაიხი და დირდრე ინგლიში, იმ შესანიშნავი პამფლეტების ავტორები, რომლებიცაა „ჯადოქრები, ბებიაქალები და მედდები: ქალი მკურნალების ისტორია, ჩივილები და დარღვევები“ და „ავადმყოფობის სექსუალური პოლიტიკა“, ავითარებენ პროვოკაციულ და კომპლექსურ კვლევას. მათი თეზისია ის, რომ კაცი ექიმების მიერ ამერიკელი ქალებისთვის გაცემული რეკომენდაციები, განსაკუთრებით, ცოლქმრული სექსის, დედობისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროებში, ახმოვანებდა ეკონომიკური ბაზრის კარნახებსა და იმ როლს, რომლის შესრულებასაც კაპიტალიზმი მოითხოვს ქალებისგან წარმოებაში ან/და რეპროდუქციაში. ქალები გახდნენ მომხმარებელი მსხვერპლები მრავალგვარი კურნების, თერაპიისა და ნორმატიული განსჯისა სხვადასხვა პერიოდებში (მათ შორის, საშუალო კლასის ქალებისთვის გამოწერილი რეცეპტისა, განესახიერებინათ და დაეცვათ სახლის სიწმინდე (სახლის „სამეცნიერო“ რომანტიზაცია). არც ერთი „ექსპერტის“ რჩევა არ ყოფილა განსაკუთრებით სამეცნიერო ან ქალებზე ორიენტირებული; ირეკლავდნენ კაცების საჭიროებებს, კაცების ფანტაზიებს ქალებზე და კაცების ინტერესებს ქალების კონტროლში - გამორჩეულად სექსუალობისა და დედობის სფეროებში - შერეულს ინდუსტრიული კაპიტალიზმის მოთხოვნებთან. ამ წიგნის უდიდესი ნაწილი იმდენად დამანგრეველად ინფორმაციულია და ისეთი გასაგები ფემინისტური გონებამახვილობითაა დაწერილი, რომ კითხვისას ბოლომდე მქონდა იმედი: ლესბოსელობის წინააღმდეგ მიმართული ძირითადი რეცეპტები იქნებოდა გამოკვლეული. სულ ტყუილად.

ძნელია, ეს ინფორმაციის ნაკლებობით აიხსნას. ჯონათან კაცის „გეი ამერიკის ისტორია“ (5) ამბობს, რომ 1656 წელს „ნიუ ჰეივენის კოლონიამ“ ლესბოსელებს სიკვდილი მიუსაჯა. კაცი წამოადგენს ბევრ დამაფიქრებელ და ინფორმაციულ დოკუმენტს ლესბოსელების „განკურნების“ (ან წამების) თაობაზე, როლებიც გაწერილია მედიცინის პროფესიონალების მიერ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. ისტორიკოს ნენსი სალის ბოლო ნამუშევარი ასახავს ამ საუკუნის დასაწყისში კოლეჯის სტუდენტებს შორის ინტენსიური ქალური მეგობრობებისკენ მიმართულ სადამსჯელო ღონისძიებებს (6). ირონიულ სათაურს „მისი პირადი სიკეთისთვის“ უნდა აღენიშნა, პირველ რიგში, ჰეტეროსექსუალობისა და ქორწინების ეკონომიკური იმპერატიულობა და ის სანქციები, რომლებიც მარტოხელა და ქვრივ ქალებს წაეყენებოდათ - ორივენი აღიქმებოდნენ და კვლავ აღიქმებიან დევიანტებად. კაცების მიერ ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფიზიკური სიჯანსაღისთვის გამოწერილი რეცეპტების ამ ხშირად

განმანათლებელ მარქსისტულ-ფემინისტურ მიმოხილვაში რეცეპტით გამოწერილი ჰეტეროსექსუალობის ეკონომიკა უკვლევი რჩება. (7)

სამი ფსიქოანალიტიკური წიგნიდან ერთი, ჯინ ბეიკერის „ქალების ახალი ფსიქოლოგიის მიმართ“, იმგვარად არის დაწერილი, რომ თითქოს ლესბოსელები უბრალოდ არც არსებობდნენ. თუმცა, ფემინისტური გამოცემების, მათ შორის Signs-ის და Spokeswoman-ის, მიერ წიგნის დადებითი მიმოხილვა გვაფიქრებინებს, რომ მილერის ჰეტეროცენტრული მოსაზრებები გაზიარებულია In The Mermaid-ში, Minotaur Sexual Arrangements-სა და Human Malaise-ში. დოროთი დინერშტაინი წარმოადგენს მგზნებარე არგუმენტს მშობლობის გასაზიარებლად ქალებსა და კაცებს შორის და იმის დასასრულებლად, რასაც თავად „გენდერული შეთანხმებების“ კაცურ-ქალურ სიმბიოზს უწოდებს, რაც, მისი აზრით, სახეობებს ძალადობისა და თვითგანადგურებისკენ უფრო და უფრო მეტად უბიძგებს.

სხვა პრობლემებთან ერთად (მათ შორისაა ავტორის სიჩუმე იმ ინსტიტუციონალური და შემთხვევითი ტერორიზმის მიმართ, რომელსაც კაცები ახორციელებდნენ ქალებსა და ბავშვებზე მთელი ისტორიის განმავლობაში, რაც კარგადაა დოკუმენტირებული ბერის, დეილის, გრიფინის, რასელისა და ვან დე ვენის, და ბრაუნმილერის მიერ, (8) და მისი აკვიატება ფსიქოლოგიით ეკონომიკური და მატერიალური რეალობების უარყოფამდე, რაც ხელს უწყობს ფსიქოლოგიური რეალობის შექმნას), ქალებსა და კაცებს შორის დამყარებული ურთიერთობების დინერშტაინისეული, სრულიად არაისტორიული ხედვა, ჩემთვის არის „თანამშრომლობა ისტორიული სიგიჟის შესანარჩუნებლად“. ეს კი მტრული, ექსპლუატაციური და დესტრუქციული სოციალური ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს.

დინერშტაინი ქალებსა და კაცებს ხედავს, როგორც თანასწორ პარტნიორებს „სექსუალური გარიგების“ დამყარებაში. როგორც ჩანს, იგი არ იცნობს ქალების მიერ ჩაგვრისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და ჩვენი პირობების შეცვლისთვის წარმოებულ განმეორებად ბრძოლებს (არც ჩვენს საკუთარს, არც - სხვებისას). იგი უგულებელყოფს, განსაკუთრებით, იმ ქალების ისტორიას, რომლებმაც, როგორც ჯადოქრებმა, მარტო მცხოვრებმა ქალებმა, ქორწინების მოწინააღმდეგეებმა, შინაბერებმა, დამოუკიდებელმა ქვრივებმა, ან/და ლესბოსელებმა შეძლეს, რომ არ ეთანამშრომლათ. ეს სწორედ ის ისტორიაა, რომლისგანაც ფემინისტებს ბევრი რამ აქვთ სასწავლი და რომლის გარშემოც ტოტალური მდუმარება სუფევს. დინერშტაინი წიგნის ბოლოს აღიარებს, რომ „ქალურ სეპარატიზმს“, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში და გრძელვადიან პერსპექტივაში არაპრაქტიკულია, შეუძლია, რაღაც გვასწავლოს: „ სეპარაციაში ქალებს შეეძლოთ, პრინციპულად დაეწყოთ იმის შესწავლა, თუ რა არის ხელუხლებელი თვითქმნადი ადამიანობა, იმის წყალობით, რომ კაცების არსებობით შემოთავაზებული დავალებისთვის თავის დაღწევის საჭიროება არასოდეს გამქრალა.“ (9) „ხელუხლებლი თვითქმნადი ადამიანობის“ მსგავსი ფრაზები აბუნდოვანებს კითხვას, როგორი და რამდენი ფორმა მიუღია ქალურ სეპარაციას.

ფაქტი ის არის, რომ ქალებს ნებისმიერ კულტურაში და მთელი ისტორიის მანძილზე თავი გაურთმევიათ დამოუკიდებელად, არაჰეტეროსექსუალურად, ქალებთან მჭიდრო კავშირში არსებობის ამოცანისთვის იმდენად, რამდენის საშუალებასაც მათ კონტექსტები აძლევდათ; ხშირად იმის რწმენით, რომ „ერთადერთი“ იყვნენ, რომელსაც ეს გაუკეთებია. უფრო მეტიც, მათ ეს განხორციელებული აქვთ მაშინ, როცა მხოლოდ ერთეულ ქალებს ჰქონდათ ეკონომიკური შესაძლებლობა ქორწინებაზე უარი ეთქვათ; მაშინ, როდესაც გაუთხოვარ ქალებზე თავდასხმის ფორმათა სიმრავლე რეპუტაციის შებღალვიდან და მასხრად აგდებიდან დაწყებული პირდაპირ გენოციდის მოწყობით მთავრდებოდა, მათ შორისაა მილიონობით ქვრივისა და შინაბერის დაწვა და წამება მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე

საუკუნეების მანძილზე ევროპაში მიმდინარე ჯადოქრებზე ნადირობისას და ინდოეთში სატის ტრადიცია ქვრივებისთვის. (10)

ლესბოსური არსებობის აღიარებასთან ყველაზე ახლოს ნენსი ჩოდოროუ მივიდა.დინერშტაინის მსგავსად, ჩოდოროუს სჯერა: იმ ფაქტმა, რომ შრომის სქესობრივ დაყოფაში მხოლოდ ქალები არიან პასუხისმგებლები ბავშვზე ზრუნვაზე, განაპირობა მთელი გენდერული უთანასწორობის სოციალური ორგანიზება; რომ კაცები ისევე, როგორც ქალები, უნდა გახდნენ პირველადი მზრუნველები ბავშვებისთვის, თუ ეს უთანასწორობა შეიცვლება. ფსიქოანალიტიკური პერსპექტივიდან, იმის გამოკვლევის პროცესში, თუ როგორ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ქალების მიერ მზრუნველობა გოგო და ბიჭ ბავშვებზე , იგი გვთავაზობს იმის დოკუმენტირებას, რომ კაცები „ემოციურად მეორეხარისხოვანი“ არიან ქალების ცხოვრებაში; რომ „ქალებს უფრო მდიდარი შინაგანი სამყარო აქვთ, რომ დაეყრდნო... ემოციურად კაცები არ ხდებიან ქალებისთვის ისეთი მნიშვნელოვნები, როგორც ქალები - კაცებისთვის.“ (11) იმავეს იტყვის შემდგომში მეოცე საუკუნის დასასრულის სმიტი-როზენბერგის აღმოჩენები, რომ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ქალები ემოციურად ქალებზე ფოკუსირდებოდნენ. „ემოციურად მნიშვნელოვანი“, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ბრაზსაც აღნიშნავდეს და სიყვარულსაც, ანდაც ამ ორის ინტენსიურ შენარევს, რომელსაც ძალიან ხშირად ვხედავთ ქალების ურთიერთობებში ქალებთან: ერთი ასპექტი, რომლისთვისაც, გადავწყვიტე, რომ „ქალების ორმაგი ცხოვრება“ (იხ. ქვემოთ) დამერქმია. ჩოდოროუ ასკვნის, რომ იმის გამო რომ ქალებს ქალები ჰყავთ, როგორც დედები, „დედა რჩება პირველხარისხოვანი შინაგანი ობიექტი [...] გოგოსთვის, იმგვარად, რომ ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები არაექსკლუზიურ, მეორად ურთიერთობად რჩება მისთვის; მაშინ, როცა ბიჭისთვის ისინი ხელახლა წარმოქმნიან ექსკლუზიურ, პირველად ურთიერთობას“. ჩოდოროუს თანახმად, „ქალებმა ისწავლეს, უარყონ მასკულინური საყვარლების შეზღუდვები როგორც ფსიქოლოგიური, ისე პრაქტიკული მიზნებით“. (12)

მაგრამ პრაქტიკული მიზეზები (როგორებიცაა ჯადოქრების დაწვა, კაცების კონტროლი კანონზე, თეოლოგია და მეცნიერება; ან ეკონომიკური არაცხოველუნარიანობა შრომის სქესობრივი დაყოფის შიგნით) გადამალულია. ჩოდოროუს მოსაზრება მსუბუქად ეხება იმ შეზღუდვებსა და სანქციებს, რომლებიც ისტორიულად აიძულებდა და უზრუნველყოფდა ქალების კაცებთან დაწყვილებას და ხელს უშლიდა ან სჯიდა ჩვენს დაწყვილებას ან გაერთიანებას დამოუკიდებელ ჯგუფებში სხვა ქალებთან. ჩოდოროუ გამოტოვებს ლესბოსურ არსებობას კომენტარით, რომ „ლესბოსური ურთიერთობები მიდრეკილია, აღადგინოს ქალიშვილი-დედის ემოციები და კავშირები, მაგრამ ქალების უმეტესობა ჰეტეროსექსუალია“ (გულისხმობს უფრო მოწიფულობას, დედა-ქალიშვილის კავშირის მიღმა გავითარებულობას). შემდეგ დასძენს: „როცა ეს ჰეტეროსექსუალური პრეფერენსი და ტაბუები ჰომოსექსუალობაზე ემატება კაცებზე ობიექტურ ეკონომიკურ დამოკიდებულებას, პირველხარისხოვანი სექსუალური ბმების დამყარება სხვა ქალებთან ნაკლებად მოსალოდნელი ხდება, თუმცა მეტად რევალენტური გასული წლებისთვის“. (13) საკითხის ამგვარ კვალიფიკაციას უზმოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩოდოროუ მას ამაზე ღრმად აღარ იკვლევს. ამბობს იგი იმას, რომ ლესბოსური არსებობა ბოლო წლებში (გარკვეულ ჯგუფებში) უფრო ხილვადი გახდა? რომ ეკონომიკური და სხვა წნეხები შეიცვალა (კაპიტალიზმის ქვეშ, სოციალიზმის ქვეშ თუ ორივეგან?) და რომ შედეგად უფრო მეტი ქალი ამბობს უარს ჰეტეროსექსუალურ „არჩევანზე“? იგი ამტკიცებს, რომ ქალებს სურთ, შვილები ჰყავდეთ, რადგან მათ ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს სიმდიდრე და ინტენსიურობა აკლია, რომ შვილის ყოლაში ქალი ესწრაფვის ინტენსიური ურთიერთობის აღდგენას საკუთარ დედასთან.

ჩანს, საკუთარ აღმოჩენებზე დაყრდნობით ჩოდოროუ იმპლიციტურად მიგვიძღვის იმ დასკვნისკენ, რომ ჰეტეროსექსუალობა ქალებისთვის არ არის „პრეფერენსი“; იგი ეროტიკულის ფრაგმენტირებას ახდენს ემოციურიდან იმგვარად, რომ ეს ქალებისთვის გამაღარიბებელი და მტკივნეულია. მისი წიგნი საამისო

მანდატის გაცემის მონაწილეა. უარყოფს რა იმ ფარულ სოციალიზაციებს და ღია ძალებს, რომლებიც ქალებს ქორწინებისკენ სვლას აიძულებენ; უარყოფს რა ჰეტეროსექსუალური რომანის წნეხებს - დაწყებულს პოსტინდუსტრიული ეკონომიკებისთვის ქალიშვილების მიყიდვით, დამთავრებული - ლიტერატურის დუმილით, ჩოდოროუ, როგორც დინერშტაინი, კაცის მიერ შექმნილი ინსტიტუტის - სავალდებულო ჰეტეროსექსუალობის - რეფორმირების მცდელობაში იჭედება, თითქოს, მიუხედავად ღრმა ემოციური იმპულსებისა და ურთიერთშემავსებლებისა, რომლებიც ქალებს ერთმანეთისკენ იზიდავთ, რაღაც მისტიკური/ბიოლოგიური ჰეტეროსექსუალური მიდრეკილება არსებობდეს, „პრეფერენსი“ ან „არჩევანი“, რაც ქალებს კაცებისკენ მიიზიდავს.

უფრო მეტიც, თითქოს ამ „პრეფერენსს“ არც კი სჭირდება განმარტება და ქალური ოიდიპოსის კომპლექსის ჩახლართული თეორია თუ სახეობის გამრავლების საჭიროება კმარა. ლესბოსური სექსუალობაა ის, რასაც (როგორც წესი, შეცდომით, „მოიაზრება“ კაცების ჰომოსექსუალობის ქვეშ), სჭირდება განმარტება. ქალების ჰეტეროსექსუალობის შესახებ ეს ვარაუდი ჩემთვის თავისთავად აღსანიშნავია: ეს უზარმაზარი ვარაუდია, ჩვენი აზროვნების ფუნდამენტში ჩუმად რომ შემოცურებულიყო.

ამ ვარაუდის განვრცობაა ხშირად იმის მტკიცება, რომ ჭეშმარიტი თანასწორობის პირობებში, სადაც კაცები არამჩაგვრელები და მზრუნველები არიან, ყველა ბისექსუალი იქნებოდა. ასეთი მსჯელობა ბუნდოვანს ხდის და სენტიმენტალიზებას უკეთებს იმ გარემოებებს, რომელშიც ქალები სექსუალობას გამოცდიან; ეს არის ძველი ლიბერალური ნახტომი აქაურობასა და ახლას ამოცანებსა და ბრძოლებს შორის, სექსუალური დეფინიციის განგრძობადი პროცესი, რომელიც წარმოშობს საკუთარ შესაძლებლობებსა და არჩევანს (აგრეთვე ასკვნის, რომ ქალები, რომლებმაც აირჩიეს ქალები, ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცნენ, რომ კაცები მჩაგვრელები და ემოციურად გამოუსადეგარი არიან; ეს კი კვლავ განიცდის მარცხს იმ ქალების მხედველობის მიღმა დატოვებით, რომლებიც აგრძელებენ ურთიერთობებს მჩაგვრელ ანდა ემოციურად არადამაკმაყოფილებელ კაცებთან). მე ვფიქრობ, რომ ჰეტეროსექსუალობას, როგორც დედობას, სჭირდება, აღიარებული და შესწავლილი იქნას, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, თუნდაც, ან განსაკუთრებით, იმ ინდივიდების მიერ, რომლებიც გრძნობენ, რომ თვითონ არიან სქესებს შორის ახალი სოციალური ურთიერთობის წინამორბედები.

II

თუ ემოციური ბრუნვის და ფიზიკური მოვლის ყველაზე ადრეული წყაროები ბავშვებისთვის ქალები არიან, ლოგიკური ჩანს, სულ ცოტა - ფემინისტური პერსპექტივიდან, დავსვათ შემდეგი კითხვა: სიყვარულისა და სინაზის ძებნა მიუძღვის თუ არა ორივე სქესს ქალებისკენ? მართლაც, რატომ შეცვლიდნენ ქალები ძებნის მიმართულებას ოდესმე; რატომ გახდებოდა სახეობათა გადარჩენა, დაორსულების საშუალებები და ემოციური/ეროტიკული ურთიერთობები ასე მჭიდროდ გაიგივებული ერთმანეთთან; რატომ გახდებოდა საჭირო ასეთი ძალადობრივი შეზღუდვების დაწესება კაცების მიმართ ქალების სრული ემოციური და ეროტიკული ერთგულებისა და დაქვემდებარების უზრუნველსაყოფად? ეჭვი მეპარება, საკმარისი რაოდენობის ფემინისტ მეცნიერებსა და თეორეტიკოსებს ეწვნიათ იმ საზოგადოებრივი ძალებისგან აღიარების ტკივილი, რომლებიც ქალების ემოციური და ეროტიკული ენერგიებისა და ქალებთან გაიგივებული ღირებულებების გაზიარებისგან შორს იჭერენ თავს და სხვა ქალებსაც აიძულებენ ამავეს. ეს ძალები, რომლის ჩვენებასაც შევეცდები, იცვლება პირდაპირი მნიშვნელობით ფიზიკური მონობიდან პოტენციური შესაძლებლობების შენიღბვასა და დამახინჯებამდე.

თავად მე არ ვამტკიცებ, რომ ქალების მიერ დედობის გაწევა „საკმარისი მიზეზია“ ლესბოსური არსებობის. მაგრამ ქალების მიერ დედობის საკითხი ბოლო დროს ხშირად დაისმის, ჩვეულებრივ, იმ მოსაზრების აკომპანიმენტით, რომ კაცების მიერ მშობლობის მაჩვენებლის ზრდა სქესებს შორის

ანტაგონიზმის შეამცირებდა და კაცებისა და ქალების ძალაუფლებებს შორის სქესობრივ დისბალანსს აღმოფხვრიდა. ეს დისკუსიები სავალდებულო ჰეტეროსექსუალობაზე, როგორც იდეოლოგიად დატოვებულ ფენომენზე, მითითების გარეშე მიმდინარეობს. მინდა, არა ფსიქოლოგიზებას მივმართო, არამედ ვამხილო კაცების ძალაუფლების წყაროები. მჯერა, დიდი რაოდენობით კაცი შეძლებდა სინამდვილეში ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა აეღო, კაცებთან გაიგივებულ საზოგადოებაში კაცების ძალაუფლების ბალანსის რადიკალურად შეცვლის გარეშე.

ესეში „ოჯახის წარმოშობა“ კეტლინ გოფი (Kathleen Gough) არქაულ და თანამედროვე საზოგადოებებში კაცების ძალაუფლების რვა მახასიათებელს ჩამოთვლის, რომელსაც ჩარჩოდ გამოვიყენებ. ესენია: „კაცების უნარი, უგულებელყონ ქალების სექსუალობა ან თავისკენ მიმართონ ის ძალისმიერად; განკარგონ და ექსპლუატაცია გაუწიონ ქალების შრომას, რათა აკონტროლონ მათი წარმოება; აკონტროლონ ან წაართვან ქალებს ბავშვები; დაატყვევონ ქალები ფიზიკურად ან შეზღუდონ მათი გადაადგილება; გამოიყენონ ქალები კაცურ ტრანზაქციებში; შეზღუდონ მათი შემოქმედებითობა; ან გარიყონ ქალები საზოგადოებრივი ცოდნისა და კულტურული მონაპოვრების ფართო არეალიდან.“ (14)

კაცური ძალაუფლების მახასიათებლები მოიცავს კაცების ძალას:

1) ჩამოართვან ქალებს (ჩვენი, საკუთარი) სექსუალობა:

კლიტორის ამოკვეთისა და მუტილაციის, სიწმინდის ქამრების, დასჯის, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობის საშუალებებით - მრუშობისთვის; დასჯით, მათ შორის სიცოცხლის მოსპობით - ლესბოსური სექსუალობისთვის; კლიტორის ფსიქოანალიტიკური უგულებელყოფით; მასტურბაციაზე შეზღუდვების დაწესებით; არსებითი და პოსტმენოპაუზალური მგრძნობელობის უარყოფით; საშვილოსნოს არასაჭირო ამოკვეთით; მედიასა და ლიტერატურაში ფსევდოლესბოსური იმიჯების შექმნით; იმ არქივების დახურვითა და დოკუმენტების განადგურებით, რომლებიც ლესბოსურ არსებობას უკავშირდება;

2) ძალა იხმარონ ქალებზე სექსუალურად:

გაუპატიურების (მათ შორის, ქორწინებაში გაუპატიურების) და ცოლის ცემის საშუალებებით; მამა-ქალიშვილისა და ძმა-დის ინცესტით; ქალების იმგვარად სოციალიზაციით, რომ გრძნობდნენ კაცების მიმართ სექსუალური „ლტოლვის“ ბუნებრიობას (15); ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მედიაში, რეკლამირებასა და ა.შ. ჰეტეროსექსუალური რომანის იდეალიზებით; ბავშვთა ქორწინებით; გარიგებით ქორწინების; პროსტიტუციის; ჰარამხანის; ფრიგიდულობისა და ვაგინალური ორგაზმის ფსიქოანალიტიკური დოქტრინებით; იმის პორნოგრაფიული აღწერებით, რომ ქალებს ძალადობა და შეურაცხყოფა სიამოვნებას გვრით (რომლის ირიბი სათქმელი ის არის, რომ სადისტური ჰეტეროსექსუალობა უფრო „ნორმალურია“, ვიდრე ქალებს შორის გრძნობების არსებობა);

3) განკარგონ და ექსპლუატაცია გაუწიონ ქალების შრომას, რათა აკონტროლონ მათი წარმოება:

ქორწინების და დედობის ინსტიტუტების, როგორც აუნაზღაურებელი წარმოების, მეშვეობით; ანაზღაურებადი დასაქმებისას ქალების ჰორიზონტალური სეგრეგაციით; მოჩვენებითი დაწინაურების სანაცვლო მახეში გაბმით; კაცების მიერ აბორტის, კოტრაცეფციისა და მშობიარობის კონტროლით; იძულებითი სტერილიზაციით; სუტენიორობით, მდედრობითი სქესის ახალშობილების დახოცვით, რაც

დედებს ქალიშვილებისგან ძარცვავს და ქალების ზოგად ჩამოფასებას ამძაფრებს;

4) ბავშვების წაგლეჯვითა და კონტროლით:

მამის უფლების უპირატესობისა და „კანონიერი მოტაცებით“; (16) ძალისმიერი სტერილიზაციით; სისტემატიზებული ინფანტიციდით; ლესბოსელი დედებისთვის შვილების სასამართლოსმიერი ჩამორთმევით; კაცების არაკეთილსინდისიერი მეანობით; დედების, როგორც „ვითომ მწვალებლების“ გამოყენებით (17) გენიტალიურ მუტილაციაში, ან ქალიშვილისთვის ფეხების (ან აზროვნების) შეკვრაში, რათა მოარგონ ის ქორწინებას.

5) დაატყვევონ ქალები ფიზიკურად ან შეზღუდონ მათი გადაადგილების თავისუფლება:

გაუპატიურების ტერორისტული გამოყენების, ქუჩებისგან ქალების მოშორების საშუალებებით; ფარდის მიღმა გამოკეტვით (purdah), ფეხების შეკვრით; ქალების ათლეტური შესაძლებლობების შესუსტებით; მაღალი კლასის, „ფემინური“ დრეს-კოდებით; პირბადით; ქუჩაში სექსუალური შევიწროვებით, დასაქმების ადგილებზე ქალების ჰორიზონტალური სეგრეგაციით; „სრულშტატიანი დედობის“ რეცეპტებით; ცოლების იძულებითი ეკონომიკური დამოკიდებულებით;

6) გამოიყენონ ქალები კაცურ ტრანზაქციებში:

ქალების გამოყენება „საჩუქრებად“, საპატარძლო-ფასი; სუტენიორობა; გარიგებით ქორწინება; ქალების, როგორც გამრთობების გამოყენება კაცური შეთანხმებების ფასილიტაციისას, მაგალითად, ცოლი-მასპინძლები ან კოქტეილის მიმტანებისგან კაცების სექსუალურად აღმგზნებად ჩაცმის მოთხოვნა, გოგოებისთვის „ბაჭიების“ წოდებით, გეიშები, კისაენგი (kisaeng) პროსტიტუტები, მდივნები;

7) შეზღუდონ მათი შემოქმედებითობა:

ღევნის კამპანიების წარმოებით ბებიაქალებისა და ქალი მკურნალების მიმართ, დამოუკიდებელი, „არაასიმილირებული“ ქალების დარბევით; (18) ნებისმიერ კულტურაში კაცების მოღვაწეობის მეტად ღირებულებად შეფასებით, ვიდრე - ქალების მოღვაწეობის, იმგვარად, რომ კულტურული ფასეულობები ხდებიან კაცური სუბიექტურობის განსახირება; ქალური თვითკმაყოფილების დაყვანით ქორწინებასა და დედობამდე; კაცი ხელოვანებისა და მასწავლებლების მიერ ქალების სექსუალური ექსპლუატაციით; ქალების კრეატიული მისწრაფებებისთვის სოციალურად და ეკონომიკურურად ხელის შეშლით; (19) ქალური ტრადიციის წაშლით; (20)

8. გარიყონ ქალები საზოგადოებრივი ცოდნისა და კულტურული მონაპოვრების ფართო არეალიდან:

ქალებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით (მსოფლიოს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის 60 პროცენტი ქალია; „დიდი მდუმარებით“ ისტორიასა და კულტურაში ქალებისა, და განსაკუთრებით, ლებოსელების არსებობაზე; (21) სქესობრივი როლების სტერეოტიპიზაციით, რომლებიც მეცნიერებისგან, ტექნოლოგიისა და სხვა „მასკულინურ“ სფეროებისგან რიყავენ ქალებს; კაცების სოციალური/პროფესიული კავშირები მეშვეობით, სადაც ქალებისთვის ადგილს არ ტოვებენ; პროფესიებში ქალების დისკრიმინაციით.

ეს არის ზოგიერთი ის მეთოდი, რომლითაც კაცების ძალაუფლება მანიფესტირდება და ნარჩუნდება. სქემის შეხედვისას ცხადად ჩანს, რომ ჩვენ ვუპირისპირდებით არა მხოლოდ უბრალოდ უთანასწორობის შენარჩუნებასა და კერძო საკუთრების ფლობას, არამედ ყოვლისმომცველი ძალების კლასტერს, ფიზიკური ბრუტალურობიდან ცნობიერების კონტროლამდე, რომელიც ამტკიცებს, რომ უზარმაზარი პოტენციური კონტრძალა აუცილებლად უნდა იქნას შეზღუდული.

ზოგიერთი იმ ფორმათაგანი, რომლითაც კაცური ძალაუფლები მანიფესტირდება, უფრო მარტივად აღსაქმელია, როგორც ჰეტეროსექსუალობის ძალმომრეობით თავსმოხვეული ქალებზე, ვიდრე – სხვები. თუმცა, თითოეული, რაც კი ზემოთ მაქვს ჩამოთვლილი, იმ ძალების კლასტერს ემატება, რომლის ზემოქმედების არელაშიც ქალებს არწმუნებდნენ, რომ ქორწინება და კაცებისკენ მიმართული სექუალური ორიენტაცია გარდაუვალია, თუნდაც ესენი მათი ცხოვრებაში მჩაგვრელ და არადამაკმაყოფილებელ კომპონენტებს წარმოადგენდნენ. უმანკოების ქამარი, ბავშთა ქორწინება, ლესბოსური არსებობის წაშლა (გარდა როგორც ეროტიკული ანდა პერვერსიული შემთხვევისა) ხელოვნებაში, ლიტერატურაში, კინოში; ჰეტეროსექსუალური რომანისა და ქორწინების იდეალიზებით - ეს იძულების აშკარა ფორმების მცირე ჩამონათვალია, რომელთაგან პირველი ორი ფიზიკური ძალის მაგალითს წარმოადგენს, მეორე წყვილი კი - ცნობიერების კონტროლის საშუალებას. როცა კლიტორიდექტომიას ფემინისტები თავს დაესხნენ, როგორც ქალების წამებას, (22) კეტლინ ბერიმ პირველმა გამოკვეთა, რომ ეს ახალგაზრდა გოგოების უბრალოდ „დასაოჯახებელ“ ინდივიდებად გადაქცევის საშუალება კი არ იყო სისხლიანი ქირურგიული ჩარევით, არამედ იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც პოლიგამიური ქორწინების ინტიმურ სიახლოვეში ქალებს მიერ ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობების დამყარების პრევენციული საშუალება; რომ - კაცური, გენიტალიაფეტიშისტური პერსპექტივიდან - ქალების ეროტიკული კავშირები, თუნდაც სქესობრივად განცალკევებულ სიტუაციებში, ძირფესვიანად ამოკვეთილიყო. (23)

პორნოგრაფიის, როგორც ცნობიერებაზე გავლენის მომხდენის, ფუნქცია ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი საკითხია, როდესაც მრავალ მილიარდ-დოლარიან ინდუსტრიას აქვს იმის ძალაუფლება, სულ უფრო მეტად და მეტად სადისტური და ქალების დამაკნინებელი ვიზუალური იმიჯები ავრცელოს. მაგრამ თუნდაც ე.წ. რბილი პორნოგრაფია და რეკლამირება ახდენენ ქალების, როგორც სექსუალური აპეტიტის ობიექტების, წარმოჩენას ემოციური კონტექსტისგან სრულიად დაცლილად, ინდივიდალური მნიშვნელობის ან პიროვნებისგან განძარცვულად: ქალი, როგორც არსებითად სექსუალური საქონელი, რომელიც კაცების მიერ უნდა იქნას შეძენილი (ე.წ. ლესბოსური პორნოგრაფია, რომელიც კაცების ეროტიკული სცენების მჭვრეტელი თვალისთვისაა შექმნილი, ამგვარადვეა დაცლილი ემოციური კონტექსტისა თუ პიროვნული ინდივიდუალურობისგან). ყველაზე საზიანო მესიჯი, რომელსაც პორნოგრაფია ატარებს, ის არის, რომ ქალები კაცებისთვის სექსუალურ ნადავლს ბუნებრივად წარმოადგენენ და ეს ძალიან მოსწონთ; რომ სექსუალობა და ძალადობა ერთმანეთთან ჰარმონიაშია; და რომ ქალებისთვის სექსი აუცილებლად მაზოხისტურია, დამცირება - სასიამოვნო, ფიზიკური ძალადობა - ეროტიკული. მაგრამ ამ მესჯითან ერთად მოდის მეორე, რომ ძალმომრეობითი დაქვემდებარება და ბოროტება, თუკი ჰეტეროსექსუალურ წყვილს შორის თამაშდება, სექსუალურად „ნორმალურია“, მაშინ როცა ქალებს შორისი ლტოლვა, ეროტიკული ურთიერთსიყვარული და პატივისცემა „ქვიარია“, „ავადმყოფურია“, თავისთავად პორნოგრაფიულია ანდაც ნაკლებად ამაღელვებელია მათრახებისა და მონობის სექსუალურობასთან შედარებით. (24) პორნოგრაფია უბრალოდ კლიმატს კი არ ქმნის, რომელშიც სექსი და ძალადობა ურთიერთჩანაცვლებადია, არამედ აფართოებს იმ ქცევათა სპექტრს, რომელიც კაცებისგან მისაღებად უნდა ჩაითვალოს ჰეტეროსექსუალურ აქტში - ქცევა, რომელიც განმეორებითად განძარცვავს ქალებს თავიანთი ავტონომიურობისგან, ღირსებისგან, სექსუალური პოტენციისგან, მათ შორის სიყვარულის, ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში ქალების მიერ მათივე შეყვარების პოტენციალისგან.

კვლევაში „მშრომელი ქალების სექსუალური შევიწროება: სქესობრივი დისკრიმინაციის შემთხვევა“, კეტრინ მაკკინონი განმარტავს სავალდებულო ჰეტეროსექსუალობისა და ეკონომიკის ურთიერთკვეთას. კაპიტალიზმის ქვეშ ქალები ჰორიზონტაოლურად სეგრეგირებული არიან გენდერის მიხედვით და იკავებენ სტრუქტურულად დაბალ პოზიციებს სამუშაო ადგილებზე; მართალია, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მაკკინონი სვამს კითხვას: რატომ არიან მაინდამაინც ბიოლოგიურად ქალები ადამიანთა იმ ჯგუფის შემადგენლები, რომლისგანაც კაპიტალიზმი დაბალი სტატუსის, მცირედანაზღაურებადი პოზიციების დაკავებას მოითხოვს და განაგრძობს იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ „კაცი დამსაქმებლების მიერ ხშირად უარს თქმა კვალიფიციური ქალების დასაქმებაზე *მაშინაც კი, როცა შეეძლოთ,, მათთვის იმაზე ნაკლები გადაეხადათ, ვიდრე კაცებს გადაუხდიდნენ,* გვაფიქრებინებს, რომ მათი მოტივი მოგების ნახვაზე შორს მიდის“ (ხაზგასმა დამატებულია). (25) მას არგუმენტად მოჰყავს იმ რესურსების სიმდიდრე, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქალები არამხოლოდ დაბალანაზღაურებად, სერვისის მიმწოდებელ სამუშაოებზე ნაწილდებიან (როგორც მდივნები, საოჯახო დამხმარეები, მედდები, სტენოგრაფისტები, სატელეფონო ოპერატორები, ძიძები, მიმტანები), არამედ მათი სამსახურის ნაწილია „ქალების სექსუალიზება“. ქალების ცხოვრების ეკონომიკური სინამდვილის ცენტრალური და თავისთავადი მახასიათებელია მოთხოვნა, რომ ქალებმა „მიყიდონ სექსუალური მიმზიდველობა კაცებს, რომლებიც ილტივიან ეკონომიკურ ძალაუფლებისა და პოზიციის დაკავებისკენ, რათა განახორციელონ თავიანთი მისწრაფებები.“

მაკკინონი ამომწურავად ასაბუთებს, რომ „სექსუალური შევიწროება ინახავს იმ ჩახლართულ სტრუქტურას, რომელშიც ქალები სექსუალური სფეროში კაცების ბრჭყალებში ექცევიან შრომის ბაზრის ფსკერზე. ამერიკელი საზოგადოების ორი ძალა ერწყმის ერთმანეთს: ეს არის კაცების კონტროლი ქალების სექსუალობაზე და კაპიტალის კონტროლი დასაქმებულების შრომით ცხოვრებაზე.“ (26) ამგვარად, ქალები დასაქმების ადგილებზე სქესი-როგორც-ძალაუფლების მანკიერ წრეში არიან მოქცეულნი. ეკონომიკურად არაპრივილეგირებულები, ქალები, იქნებიან ისინი ოფიციანტები თუ პროფესორები, უძლებენ სექსუალურ შევიწროებას, რათა შეინარჩუნონ სამსახურები და დაისწავლიან ისეთ ქცევას, რომელიც ჰეტეროსექსუალურ წესებთან იქნება თანხვედრაში, აღმოაჩენენ რა, რომ ეს არის ის კვალიფიკაცია, რომელსაც ნებისმიერი სამსახური მოითხოვს, როგორიც უნდა იყოს საქმე. და, შენიშნავს მაკკინონი, ქალები, რომლებიც გადაჭრით ამბობენ უარს სექსუალურ უვერტიურაზე სამსახურში, „დამჭკნარად“, უსქესოდ ან ლესბოსელად ირაცხებიან. ეს წარმოშობს სპეციფიკურ განსხვავებას ლესბოსელებისა და კაცი ჰომოსექსუალების გამოცდილებებს შორის. ჰეტეროსექსუალური წინასწარგანწყობების გამო ლესბოსელი სამსახურში უბრალოდ დამალული, იძულებული კი არ არის, უარყოს სიმართლე მისი გარე ურთიერთობებისა და პირადი ცხოვრების შესახებ, არამედ მისი სამსახური დამოკიდებულია მის თვალთმაქცობაზე, თავი გაასაღოს არა უბრალოდ ჰეტეროსექსუალად, არამედ ჰეტეროსექსუალ ქალად, ჩაცმისა და „ნამდვილი“ ქალისთვის შესაფერი მოკრძალებული და ფემინური როლის თამაშის თვალსაზრისით.

მაკკინონი სვამს რადიკალურ კითხვებს, როგორებიცაა სექსუალურ შევიწროებას, გაუპატიურებასა და ჩვეულებრივ ჰეტეროსექსუალურ აქტს შორის თვისებრივი სხვაობები. („როგორც ერთმა გაუპატიურებაში ბრალდებულმა თქვა, მას იმაზე მეტი ძალა არ ჰქონდა გამოყენებული, ვიდრე კაცებს სჩვევიათ მოსამზადებელ პროცესში.“) იგი აკრიტიკებს სიუზან ბრაუნმილერს (27) ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი მდინარებისგან გაუპატიურების გამოყოფისა და უცერემონიოდ დასკვნისთვის, რომ „გაუპატიურება ძალადობაა, აქტი - სექსუალურად ხდება“, რითაც გაუპატიურება სექსუალობის სფეროს ერთიანად ჩამოაცილა. უფრო მეტად ის ამტკიცებს, რომ „გაუპატიურების ამოღება „სექსუალურის“ არეალიდან და მისი განთავსება „ძალადობრივის“ არეალში, მავანს საშუალებას აძლევს, ისე დაუპირისპირდეს გაუპატიურებას, რომ არ დასვას არავითარი კითხვა, რა წვლილი მიუძღვის

ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუტს ძალის, როგორც „მოსამზადებელი სამუშაოების“ ნორმალური ნაწილის, განსაზღვრაში. (28) არასოდეს დასმულა კითხვა, კაცების უპირატესობის პირობებში „თანხმობის“ ცნებას რამე მნიშვნელობა თუ აქვს.“ (29)

ფაქტი ის არის, რომ სამუშაო ადგილი სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად ის ადგილია, სადაც ქალებმა ისწავლეს ფსიქიკური და ფიზიკური საზღვრების კაცების მიერ დარღვევის მიღება; სადაც, ქალებმა ლიტერატურისა და პორნოგრაფიის მიერ განათლებაზე არანაკლები ცოდნა მივიღეთ საკუთარი თავის სექსუალურ ნადავლად აღსაქმელად. ქალი, რომელიც ამგვარი შემთხვევითი ძალადობებისგან გასაქცევს ეძებს ეკონომიკური არაპრივილეგირებულობის თანხლებით, არ არის გასაკვირი, თუ ქორწინებისკენ შემობრუნდება, როგორც დაცულობის საიმედო ფორმისკენ, როცა ამ ქორწინებაში არც სოციალური და არც ეკონომიკური ძალაუფლება არ შეაქვს, ამგვარად იგი ქორწინების ინსტიტუტში შედის ასევე არაპრივილეგირებული პოზიციიდან. საბოლოოდ მაკკინონი სვამს შეკითხვას:

> რა ხდება მაშინ, თუ უთანასწორობა მამრობითი და მდედრობითი სექსუალობის, მასკულინურობისა და ფემინურობის, სექსუალურობისა და ჰეტეროსექსუალური მიმზიდველობის კონცეპტებშია ჩაშენებული? სექსუალური შევიწროების შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ თვითონ კაცის სექსუალური სურვილი შეიძლება, წარმოშვას ქალის მოწყვლადობამ... კაცები გრძნობენ, რომ მათ შეუძლიათ უპირატესობის მოპოვება, ასე უნდათ, ასეც იქცევიან. სექსუალური შევიწროების შესწავლა, ზუსტად იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივობაა, აიძულებს მავანს, დაუპირისპირდეს იმ ფაქტს, რომ სექსუალური აქტი ჩვეულებრივ ეკონომიკურ (ისევე, როგორც ფიზიკურ) უთანასწორობებს შორის მყარდება ხოლმე... პირდაპირი ლეგალური საჭიროებაა, რომ დამნაშავეთა დასასჯელად აუცილებელია, ქალზე სექსუალური ძალადობის შემთხვევა სხვა შემთხვევებისგან გამოირჩეოდეს, ხელს უშლის ქალებს, დაადგინონ საკუთარი თანხმობის ჩვეულებრივი პირობების საზღვრები. (30)

გადმოვეცი რა ჰეტეროსექსუალური წნეხების ბუნება და მოცულობა, ყოველდღიური „ქალთა დაქვემდებარების ეროტიზაცია“, (31) მაკკინონის სიტყვებით რომ ვთქვა, გავაკრიტიკებ მეტნაკლებად ფსიქოანალიტიკურ პერსპექტივას (შემოთავაზებულს ისეთი ავტორებისგან, როგორებიც არიან კარენ ორნი, ღ. ჰეიესი, ვოლფგანგ ლედერერი და, ბოლო დროს, დოროთი დინერშტაინი), რომ კაცის საჭიროება, აკონტროლოს ქალი, სექსუალურად მომდინარეობს კაცისთვის ფუნდამენტური „ქალების შიშისგან“ და ქალების სექსუალური დაუკმაყოფილებისგან. უფრო შესაძლებელი ჩანს, კაცებს ნამდვილად ეშინოდეთ არა იმისა, რომ ქალების სექსუალური აპეტიტი მათ იმსხვერპლებს, ან რომ ქალებს მათი გაგუდვა და შთანთქმა სურთ, არამედ იმისა, რომ შესაძლებელია, ქალები საერთოდაც ინდიფერენტულები იყვნენ მათ მიმართ, რომ ქალებზე სექსუალური და ეკონომიკური - მაშასადამე, ეკონომიკურიც - წვდომა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქალების კეთილი ნებით, სხვაგვარად კი მატრიცის პერიფერიაზე დარჩებიან.

ქალებზე კაცების სექსუალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალებები ახლახან გახდა კეითლინ ბერის კვლევის საგანი. (32) იგი აღწერს ქალებით საერთაშორისო ვაჭრობას (ოდესღაც „თეთრი მონობის“ სახელით ცნობილი ინსტიტუტი), რომელიც მოიცავდა და დღემდე მოიცავს ნებისმიერი კლისისა და რასის ქალებს, არსებობის დამადასტურებელი, ღრმა და შემაშფოთებელი ცნობების ფართო სპექტრს. მისი კვლევიდან ამოსული თეორიული ანალიზისას ბერი ამყარებს კავშირს ყველა ძალადობრივ გარემოებას შორის, რომელთა გამოც ქალები კაცების დაქვემდებარების ქვეშ ცხოვრობენ. ესენია: პროსტიტუცია, ცოლქმრული გაუპატიურება, მამა-ქალიშვილისა და ძმა-დის ინცესტი, ცოლის ცემა, პორნოგრაფია, პატარძალი-ფასის ფენომენი, ქალიშვილების გაყიდვა, ფარდის მიღმა გამოკეტვა (purdah) და გენიტალიური მუტილაცია. იგი ხედავს გაუპატიურების პარადიგმას, სადაც სექსუალური ძალადობის

მსხვერპლი პასუხისმგებელია საკუთარ მსხვერპლობაზე, როგორც მონობის სხვა ფორმების რაციონალიზაციისა და მიმღებლობის საწყისს, სადაც ნავარაუდევია, რომ ქალმა თავად „აირჩია“ ასეთი ბედი ან რომ ეს დაიმსახურა პერვერსიული, დაუფიქრებელი და ბიწიერი ქცევით. ამის საპირისპიროდ, ბერი აგრძელებს, „ქალების სექსუალური მონობა სახეზეა ყველა სიტუაციაში, სადაც ქალებს ან გოგოებს არ შეუძლიათ, შეცვალონ საკუთარი არსებობის პირობები; სადაც, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აღმოჩნდნენ ამ ვითარებაში, - მაგალითად, სოციალური წნეხის, ეკონომიკური გაჭირვების, შეუსაბამო ნდობის ან სიყვარულის წყურვილის, - მათ არ შეუძლია თავის დაღწევა; სადაც ისინი არიან სექსუალურ ძალადობასა და ექპლუატაციას დაქვემდებარებულები.“ (33)

ბერი გვთავაზობს კონკრეტული მაგალითების მთელ სპექტრს არამხოლოდ ქალებით ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო ვაჭრობის არსებობის დასადასტურებლად, არამედ იმის საილუსტრაციოდაც, თუ როგორ მუშაობს ის - იქნება ეს ქერა, ლურჯთვალა შუაევროპიდან გაქცეულების გადინება ტაიმს სკვერისკენ „მინესოტას მილსადენის“ ფორმით, თუ ახალგაზრდა ქალების ყიდვა ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ღარიბი სოფლებიდან, ან პარიზის მეთვრამეტეუბნელი ემიგრანტი მუშებისთვის ბორდელების გახსნა. „მსხვერპლის დადანაშაულების“ ან სავარაუდო პათოლოგიით მისი დიაგნოზირების ნაცვლად, ბერი ყურადღებას თვით სქესის კოლონიზაციას, „კულტურული სადიზმის“ ფენომენს მიაპყრობს, წარმოდგენილს პორნოგრაფიის უზარმაზარი ინდუსტრიის მეშვეობითა და ქალების გაიგივებით „თავისთავად სექსუალურ არსებებთან, რომელთა პასუხისმგებლობა კაცებისთვის სექსუალური მომსახურების გაწევაა.“ (34)

იმას, რასაც თავად „სექსუალური დომინაციის პერსპექტივას“ უწოდებს, ბერი განმარტავს მათ მზერად, ვინც კაცების მიერ ქალების გასაგნებას, სექსუალურ ძალადობასა და ტერორიზმს თითქმის უხილავს ხდის მათი ბუნებრივ და გარდაუვალ მოვლენად მიჩნევით. მისი პოზიციიდან, ქალები მანამ არიან გამოყენებული, სანამ კაცების სექსუალური მოთხოვნილებები შეიძლება, დაკმაყოფილდეს. დომინირების ამ პერსპექტივის ჩანაცვლება ფუნდამენტური თავისუფლების უნივერსალური სტანდარტებით ქალებისთვის, გენდერულად სპეციფიკური ძალადობიდან, გადაადგილების შეზღუდვიდან და კაცების სექსუალური და ემოციური წვდომის უფლებიდან გასათავისუფლებლად ამ წიგნის პოლიტიკური მიზანია. როგორც მერი დეილი წიგნში „გინ-ეკოლოგია“ („Gyn/Ecology“ - მთარგმნ.), ბერი უარყოფს სექსუალური წამებისა და ქალებზე ძალადობის სტრუქტურალისტურ და კულტურულ-რელატივისტურ რაციონალიზაციას. პირველ თავში ის სთხოვს მკითხველებს, უარი თქვან უმეცრებასა და უარყოფაში თავის შეფარებაზე. „ერთადერთი გზა, რომლითაც მალვიდან გამოსვლა და ჩვენი მაპარალიზებელი კედლის გარღვევა შეგვიძლია, ის არის, რომ ყველაფერი ვიცოდეთ სექსუალური ძალადობისა და ქალებზე დომინაციის შესახებ, სრული მასშტაბით... ცოდნით, თვალებში პირდაპირ ჩახედვით შეგვიძლია, გავიგოთ ამ ჩაგვრიდან თავის დაღწევის გზები, იმ სამყაროს წარმოდგენითა და შექმნით, რომელშიც ქალების სექსუალურ მონობას ადგილი არ ექნება.“ (35)

„სანამ სახელს არ დავარქმევთ პრაქტიკას, შინაარსობრივად არ განვმარტავთ და ფორმას არ მივცემთ მას, დროსა და სივრცეში არ დავინახავთ მის არსებობას, მანამ არც მათ, ვინც აშკარა მსხვერპლნი არიან, არ შეეძლებათ სახელი დაარქვან და განმარტონ საკუთარი გამოცდილება.“ (36)

მაგრამ მისი მსხვერპლი, სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა ხარისხით, ყველა ქალია; და ქალების სექსუალური მონობის სახელდებასა და კონცეპტუალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემის ნაწილი, როგორც ბერი ხედავს, სავალდებულო ჰეტეროსექსუალობაა. სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა უმარტივებს ამოცანას მიმწოდებლებსა და სუტენიორებს მსოფლიო პროსტიტუციის წრეებსა და „ეროსის ცენტრებში“, მაშინ, როცა ოჯახურ ვითარებაში ის აიძულებს ქალიშვილს, „შეეგუოს“ ინცესტ/გაუპატიურებას მამის მხრიდან, დედას - უარყოს, რომ ეს ხდება, ძალადობის მსხვერპლ ცოლს -

დარჩეს მოძალადე ქმართან. „დამეგობრება ან სიყვარული“ მიმწოდებლების მთავარი ტაქტიკაა, ვისი საქმეც გამოქცეულის ან დაბნეული ახალგაზრდა გოგოს სუტენიორის ხელში ჩაგდებაა. ჰეტეროსექსუალური რომანის იდეოლოგია, რომლითაც მას ბავშვობიდანვე ზღაპრებიდან, ტელევიზიიდან, ფილმებიდან, რეკლამებიდან, პოპულარული სიმღერებიდან, საქორწინო ცერემონიებიდან აბრმავებდნენ, მზა იარაღია მიმწოდებლის ხელში, რომლის გამოყენებასაც, როგორც ბერის მაგალითები ადასტურებს, ის არ აყოვნებს. ადრეული ქალური ინდოქტრინაცია „სიყვარულში“, როგორც ემოციაში, შესაძლოა სრულიად დასავლური კონცეფტი იყოს, მაგრამ უფრო უნივერსალური იდეოლოგიის ინტერესია კაცის სექსუალური სურვილის უპირველესობა და არაკონტროლირებადობა. ეს არის მრავალთაგან ერთ-ერთი ხედვა, რომელსაც ბერის წიგნი გვთავაზობს:

> როგორც მოზარდი ბიჭები სწავლობენ სექსუალურ ძალაუფლებას მათი სექსუალური ლტოლვების სოციალური გამოცდილების მეშვეობით, ისე გოგოებიც დაისწავლიან, რომ სექსუალური ძალაუფლების კერა კაცშია. იმ მოცემულობის თანახმად, რომ გოგოების, ისევე, როგორც ბიჭების, სოციალიზაციაში მნიშვნელობა კაცის სექსუალურ ლტოლვას მიენიჭება, ადრეული მოზარდობა, ალბათ, კაცების იდენტიფიკაციის პირველი მნიშვნელოვანი ფაზაა გოგოს ცხოვრებასა და განვითარებაში... როგორც კი ახალგაზრდა გოგო აცნობიერებს საკუთარ მზარდ სექსუალურ განცდებს... იგი ზურგს აქცევს აქამდე მის პირველად ურთიერთობებს მეგობარ გოგოებთან. როგორც კი ისინი მეორადი მნიშვნელობის ხდებიან მისთვის, მცირდება მათი მნიშვნელობა მის ცხოვრებაში, საკუთარი იდენტობა თავისი თავისთვისაც იღებს მეორად როლს და იზრდება კაცის მიერ განსაზღვრების (იდენტიფიკაციის - მთარგმნ.) თანახმად. (37)

ისევ გვჭირდება, ვიკითხოთ, რატომ მოხდა, რომ ზოგიერთ ქალს თუნდაც დროებით არასოდეს „შეუქცევია ზურგი აქამდე პირველადი ურთიერთობებისთვის“ სხვა ქალებთან. და რატომ ხდება, რომ კაცური იდენტიფიცირება - მავანის სოციალური, პოლიტიკური და ინტელექტუალური ლოიალურობა კაცების მიმართ - არსებობს მთელი ცხოვრებით სექსუალურად ლესბოსელებს შორის? ბერის ჰიპოთეზა ახალი კითხვების ზღვაში გვაგდებს, თუმცა ის აზუსტებს იმ ფორმათა მრავალგვარობას, რომელშიც სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა წარმოაჩენს თავს. კაცების ქალზე სექსუალური უფლების კანონი კაცის ყოვლისმპყრობელი სექსუალური ლტოლვის, პენისი-საკუთარი-ცხოვრებით, ზეძალაუფლების მისტიკაში დევს, რომელიც პროსტიტუციას ამართლებს, როგორც, ერთი მხრივ, უნივერსალურ კულტურულ ვარაუდს, როცა, მეორე მხრივ, ოჯახის შიგნით სექსუალურ მონობას იცავს „ოჯახური პირადულობისა და კულტურული უნიკალურობის“ საფუძველზე. (38) მოზარდი ბიჭის სექსუალური ლტოლვა, რომელიც, როგორც ახალგაზრდა გოგოებსა და ბიჭებს ასწავლიან, რა წამს მოიმართებიან, ვეღარ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ან აღარ იღებენ, ბერის თანახმად, ხდება ზრდასრული კაცის სექსუალური ქცევის ნორმა და რაციონალი: *დატუსაღებული სექსუალური განვითარების პირობა.* ქალები სწავლობენ, მიიღონ ამ „ლტოლვის“ გარდაუვალობა, როგორც ბუნებრივი მოვლენა, რადგან ჩვენ მას დოგმად ვიღებთ. აქედან გამომდინარე, ვიღებთ ქორწინებაში გაუპატიურებას; იაპონელი ცოლის მიერ შემრიგებლურ ჩალაგებას ქმრის ჩემოდნისა ტაივანის ბორდელებში ვიქენდის გასატარებლად; ცოლ-ქმარს შორის, დამსაქმებელ კაცსა და დასაქმებულ ქალ მშრომელს შორის, მამასა და ქალიშვილს შორის, კაც პროფესორსა და გოგო სტუდენტს შორის ძალაუფლების ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დისბალანსს.

კაცისმიერი განსაზღვრის (male-identification - მთარგმნ.) შედეგები ნიშნავს:

> კოლონიზატორის ღირებულებების ინტერნალიზებასა და საკუთარი თავისა და სქესის კოლონიზაციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას... კაცისმიერი განსაზღვრა ის ქმედებაა, სადაც ქალები კაცებს საკუთარ თავზე მაღლა უჩენენ ადგილს საიმედოობის, სტატუსის თუ

> მნიშვნელობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რაოდენ უკეთესადაც არ უნდა შეეძლოთ ქალებს მდგომარეობის ხარისხის გაუმჯობესება... ყველა დონეზე, ქალებთან ინტერაქცია დანახულია, როგორც ურთიერთობის უფრო მდარე ფორმა. (39)

რასაც შემდგომი გამოკვლევები სჭირდება, ორმაგი აზროვნებაა, რომელშიც ბევრი ქალია ჩართული და რომლისგანაც არც ერთი ქალი არ არის სამუდამოდ და სრულად თავისუფალი: მიუხედავად იმისა, რომ ქალების ურთიერთობები, ქალების მხარდამჭერი ქსელები, ქალური და ფემინისტური ღირებულებათა სისტემა არსებობს, ბევრი ქალი ეყრდნობა და ეფოფინება კაცების საიმედოობას და სტატუსში ინდოქტრინაციას ჯერ კიდევ შეუძლია, შექმნას სინაფსი აზროვნებაში, გრძნობების, პოზიტიური აზროვნების უარყოფა, ინტელექტუალური და სექსუალური დაბნეულობა. (40) ციტატად მოვიყვან ნაწყვეტს იმ წერილიდან, რომელიც ამ პასაჟის დაწერის დღეს მივიღე: „კაცებთან ძალიან ცუდი ურთიერთობები მაქვს გადატანილი, ახლა ძალიან მტკივნეული დაშორების პროცესში ვიმყოფები, ძალების პოვნას ქალებს შორის ვცდილობ - ჩემი მეგობრების გარეშე ვერ გადავრჩებოდი“. დღეში რამდენჯერ წარმოთქვამენ ქალები ამგვარ სიტყვებს, ან ფიქრობენ, ან წერენ ამ სიტყვებს, და რამდენჯერ განიმტკიცებს თვითონ სინაფსი თავს?

ბერი აჯამებს თავის აღმოჩენებს:

> დატუსაღებული სექსუალური განვითარების მხედველობაში მიღებით, რომელიც ნორმალურად არის გაგებული კაცების პოპულაციაში, და იმ კაცების ოდენობის გათვალისწინებით, ვინც ტრაფიკის მონაწილეები არიან: სტუდენიორები, მიმწოდებლები, ტრეფიკინგის განგსტერული ჯგუფების წევრები, კორუფციული საჯარო მოხელეები; ბორდელებისა და გასართობი დაწესებულებების მუშაკები, ოპერატორები და მფლობელები; პორნოგრაფიის გამყიდველები, დაკავშირებული პროსტიტუციასთან; ცოლებზე მოძალადეები, ბავშვების გამტაცებლები, ინცესტის ჩამდენები, ჯონები და გამაუპატიურებლები - შეუძლებელია თავზარი არ დაგცეს კაცების უზარმაზარმა პოპულაციამ, რომელიც ქალების სექსუალურ დამონებაშია ჩაბმული. ამ პრაქტიკებში ჩართული კაცების ასეთი რაოდენობა საერთაშორისო მასშტაბით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზი უნდა იყოს, სექსუალური ძალადობის აღმოფხვრაში კრიზისის მაჩვენებელი. მაგრამ ის, რაც განგაშის უნდა ზარს გვარეკინებდეს, ნორმალურ სექსუალურ აქტადაა შეფასებული. (41)

სიუზან კალვინი თავის მდიდარ და პროვოკაციულ, ასევე მეტად სპეკულაციურ დისერტაციაში საუბრობს, რომ პატრიარქატი შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა თავდაპირველ ქალურ გაერთიანებას, რომელიც მოიცავს ბავშვებს და ემიჯნება მოზარდ კაცებს, კაცები იპყრობენ და რაოდენობრივად აღემატებიან; რომ არა პატრიარქალური ქორწილი, ვაჟის მიერ დედის გაუპატიურება ხდება კაცების დომინირების პირველი აქტი. პირველი ბერკეტი, რომელიც ამის განხორციელების საშუალებას იძლევა, არ არის მხოლოდ უბრალო ცვლილება სქესობრივ პროპორციებში; ეს არის აგრეთვე დედა-შვილის კავშირით მანიპულირება მოზარდი კაცების მიერ საიმისოდ, რომ ინკლუზიის ასაკის დადგომის შემდეგაც დარჩნენ მატრიცაში. დედობრივი სიყვარული გამოყენებულია სექსუალურ ხელმისაწვდომობაზე კაცების უფლების უზრუნველსაყოფად, რომელსაც ძალისმიერი (ან ცნობიერების კონტროლის მეშვეობით) შენარჩუნება დასჭირდება მას შემდეგ, რაც თავდაპირველი ღრმა ზრდასრულთა კავშირი ქალების ქალებთან ურთიერთობა იყო. (42) ეს ჰიპოთეზა განსაკუთრებით სასარგებლო მგონია მაშინ, როცა ცრუ ცნობიერების ერთი ფორმა, რომელიც სავალდებულო ჰეტეროსექსუალობას უწევს სამსახურს, დედაშვილური ურთიერთობის შენარჩუნებაა ქალებსა და კაცებს შორის, მათ შორის იმის მოთხოვნით, რომ ქალებმა დედობრივი ნუგეში სცენ, უპირობოდ იზრუნონ და თანაუგრძნონ მათ შემავიწროვებლებს, გამაუპატიურებლებს და მოძალადეებს (აგრეთვე იმ კაცებს, რომლებიც პასიურად სწოვენ მათ სისხლს).

რამდენი ძლიერი და ასერტიული ქალი თანხმდება კაცის პოზიორობას, დაწყებული სრულიად უცნობებიდან, დამთავრებული საკუთარი ვაჟებით?

მაგრამ, თავი რომ დავანებოთ მის საწყისებს, როცა მკაფიოდ შევხედავთ იმ ზომების მოცულობასა და ფორმირებას, რომელიც ქალების კაცების სექსუალურ განკარგულებაში ჩატოვებას ემსახურება, თავს ვერ ავარიდებთ კითხვის დასმას - საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ფემინისტებმა, ხომ არ არის არა უბრალოდ „გენდერული უთანასწორობა“, ან კაცების მიერ დომინირების კულტურა, ან უბრალო „ტაბუები ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ“, არამედ ჰეტეროსექსუალობის აღსრულება ქალებისთვის, როგორც ფიზიკურ, ეკონომიკურ და ემოციურ წვდომაზე კაცების უფლების უზრუნველყოფის საშუალება. (43) აღსრულების მრავალი საშუალებიდან ერთ-ერთია, რა თქმა უნდა, ლესბოსური შესაძლებლობის გაუჩინარება - შთანთქმული კონტინენტი, რომელიც ხშირად ამოიზრდება ჰორიზონტზე მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ ჩაიძიროს. ფემინისტური კვლევა და თეორია, რომელსაც წვლილი შეაქვს ლესბოსელობის უხილავობაში ან მარგინალიზაციაში, სინამდვილეში ქალების, როგორც ჯგუფის, გათავისუფლებისა და გაძლიერების წინააღმდეგ მუშაობს. (44)

ვარაუდი, რომ „ქალების უმრავლესობა თანდაყოლილად ჰეტეროსექსუალია“, ბევრი ქალისთვის თეორიული და პოლიტიკური დამაბრკოლებელია. იგი მედგარ მოსაზრებად რჩება ნაწილობრივ იმის გამო, რომ ლესბოსურ არსებობას შლიდნენ ისტორიიდან ან დაავადებათა ნუსხაში შეჰყავდათ; ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას ექცეოდნენ, როგორც გამონაკლისს და არა როგორც - ჩვეულებრივობას; ნაწილობრივ იმის გამო, აღიარო, რომ ქალებისთვის ჰეტეროსექსუალობა შეიძლება, საერთოდაც არ იყოს „პრეფერენსი“, არამედ ის რაღაც, რაც თავს უნდა მოეხვიათ, ემართათ, დაეორგანიზებინათ, პროპაგანდირება მოეხდინათ და შეენარჩუნებინათ ძალის გამოყენებით, უზომოდ დიდი ნაბიჯია გადასადგმელი, თუ შენს თავს თავისუფლად და „თანდაყოლიდად“ ჰეტეროსექსუალად მიიჩნევ.

თუმცა, ჰეტეროსექსუალობის, როგორც ინსტიტუტის, გამოკვლევის კრახი იმის დანახვის კრახიც არის, რომ ეკონომიკური სისტემა, რასაც კაპიტალიზმი ანდა რასიზმის კასტური სისტემა ეწოდება, ბევრი ძალის მიერ ნარჩუნდება, როგორც ფიზიკური ძალადობით, ისე - ცრუ ცნობიერებით. ქალებისთვის ჰეტეროსექსუალობის, როგორც „პრეფერენსის“ ან „არჩევანის“ კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების ნაბიჯის გადადგმა, და შემდგომი ინტელექტუალური და ემოციური შრომის გაწევა განსაკუთრებულ სიმამაცეს მოითხოვს ჰეტეროსექსუალურად იდენტიფიცირებულ ფემინისტებში. თუმცა, ვფიქრობ, ჯილდო დიდი იქნება: აზროვნების გათავისუფლება, ახალი გზების გაკვალვა, კიდევ ერთი დიდი მდუმარების დარღვევა, ახალი სიცოცხლე პირად ურთიერთობებში.

III

ვარჩიე, ფრაზები *„ლესბოსური არსებობა“* და *„ლესბოსური კონტინუუმი“* გამომეყენებინა, რადგან *„ლესბოსელობას“* როგორც კლინიკური, ისე შეზღუდული კონოტაცია აქვს. „ლესბოსური არსებობა გვთავაზობს როგორც ლესბოსელების ისტორიულად არსებობის ფაქტს, ისე ჩვენი არსებობის მნიშვნელობის განგრძობად შექმნას. ტერმინში *„ლესბოსური კონტინუუმი“* მოვიაზრებ თითოეული ქალის ცხოვრების გავლით, ისტორიის განმავლობაში ქალთან გაიგივებულ გამოცდილებას; არა უბრალოდ იმ ფაქტს, რომ ქალს ჰქონდა ან ცნობიერად სურდა გენიტალიური სექსუალური გამოცდილება სხვა ქალთან. თუ მას განვავრცობთ ქალებს შორის პირველხარისხოვანი ინტენსივობის უფრო მეტ ფორმამდე; მათ შორის, მდიდარი შინაგანი ცხოვრების გაზიარებამდე, კაცური ტირანიის წინააღმდეგ გაერთიანებამდე, პრაქტიკული და პოლიტიკური მხარდაჭერის გამოცხადებასა და მიღებამდე; თუ მათში ისეთ

ასოციაციებსაც ამოვიკითხავთ, როგორებიცაა ქორწინებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და „მოუთვინიერებელი“ ქცევა, რომელიც მერი დეილის მიერ არის იდენტიფიცირებული (მოძველებული მნიშვნელობებია: „უკონტროლო“, „თავნება“, „გარყვნილი“, „ბიწიერი, „ქალი, რომელსაც სიყვარული არ შეუძლია“ (45)), - ქალთა ისტორიისა და ფსიქოლოგიის სიგრძე-სიგანეს ჩავავლებთ ხელს, რომელზეც წვდომა აქამდე არ გვქონია, „ლესბოსელობის“ როგორც შეზღუდული, ძირითადად კლინიკური დეფინიცირების შედეგებზე.

ლესბოსური არსებობა როგორც ტაბუების დამსხვრევისგან, ისე ცხოვრების სავალდებულო წესის უკუგდებისგან შედგება. ამასთანავე, ეს არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი თავდასხმა „კაცების უფლებაზე, ხელი მიუწვდებოდეთ ქალებზე“. თუმცა, ლესბოსური არსებობა უფრო მეტიც არის, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან შეიძლება, აღვიქვათ პატრიარქატზე უარის ერთ-ერთ ფორმად, რეზისტენციის აქტად. რა თქმა უნდა, იგი მოიცავდა როლურ თამაშს, თვითსიძულვილს, ფსიქოლოგიურ დაცემას, ალკოჰოლიზმს, სუიციდს და ქალებს შორის ძალადობას; რომანტიზებას ვახდენთ ჩვენს საფრთხეებზე, თუ რას ნიშნავს გიყვარდეს და მოქმედებდე მძიმე სასჯელის ქვეშ და წინააღმდეგ; და ლესბოსური არსებობა (ებრაული ან კათოლიკური არსებობისგან განსხვავებით) გრძელდებოდა ტრადიციის, განგრძობადობის, სოციალური საძირკვლის ცოდნებზე ხელმიუწვდომლად. ჩანაწერების, რელიკვიების და წერილების განადგურება, რომლებიც ლესბოსური არსებობის გარემოებებს გადმოსცემდა, აღქმული უნდა იქნას, როგორც ჰეტეროსექსუალობის ქალებისთვის სავალდებულოდ შენარჩუნების საშუალება, მას შემდეგ, რაც ჩვენი ცოდნიდან მხიარულება, მგრძნობელობა, გამბედაობა და თემი გვაქვს შემორჩენილი ისევე, როგორც დანაშაული, მუხთლობა და ტკივილი. (46)

ლესბოსელები ისტორიულად განძარცვული იყვნენ პოლიტიკური არსებობისგან კაცების ჰომოსექსუალობის ქალურ ვერსიად „ინკლუზიის“ საშუალებით. გაათანაბრო ლესბოსური არსებობა კაცების ჰომოსექსუალობასთან იმიტომ, რომ თითოეული მათგანი სტიგმატიზებულია, ნიშნავს, უარყო და წაშალო ქალების მდგომარეობა კიდევ ერთხელ. გამოაცალკევო „ჰომოსექსუალად“ ან „გეიდ“ სტიგმატიზებული ქალები მონობის წინააღმდეგ მიმართული ქალური რეზისტენციის კომპლექსური კონტინუუმისგან და მიაბა ისინი კაცურ პატერნს, ჩვენი ისტორიის გაყალბებაა. ლესბოსური არსებობის ისტორიის ნაწილი აშკარაა, რომ აღმოჩენილი უნდა იქნას იქ, სადაც ლესბოსელები, მოკლებულები ქალების შეთამაშებულ თემს, იზიარებდნენ რაღაცგვარ სოციალურ ცხოვრებასა და საერთო ინტერესს ჰომოსექსუალ კაცებთან. მაგრამ ეს დანახული უნდა იქნას განსხვავების წინააღმდეგ: ქალებს, კაცებთან შედარებით, არ გააჩნდათ ეკონომიკური და კულტურული პრივილეგიები; თვისებრივი სხვაობაა ქალებისა და კაცების ურთიერთობებში, მაგალითად, ანონიმური სექსის პრევალენტობისა და ჰომოსექსუალ კაცებს შორის პედერასტობის გამართლების თვალსაზრისით, გამოხატული ეიჯიზმი სექსუალური მიმზიდველობის ჰომოსექსუალი კაცების სტანდარტებში, და ა.შ. ლესბოსური არსებობის განმარტებისა და აღწერისას, იმედს ვიქონიებდი, უფრო წინ წავსულიყავი გეი ღირებულებებისა და ერთგულებებისგან ლესბოსურის განსასხვავებლად. ლესბოსურ გამოცდილებას აღვიქვამ, დედობის მსგავსად, ღრმად ქალურ გამოცდილებად, კონკრეტული ჩაგვრებით, მნიშვნელობებითა და პოტენციალებით, რომელთა მოხელთება არ შეგვიძლია, რამდენადაც სხვა სექსუალურად სტიგმატიზებულ ეგზისტენციებთან ვაჯგუფებთან. როგორც სიტყვა „მშობლობა“ ემსახურება, შენიღბოს კონკრეტული და მნიშვნელოვანი გარემოება მშობლად ყოფნისა, რომელიც რეალურად დედაა, სიტყვა „გეი“ ემსახურება იმ უმნიშვნელოვანესი კონტურების გაბუნდოვანებას, რომლის გარჩევაც გვჭირდება, რაც ფემინიზმისთვის და ქალების, როგორც ჯგუფის, გათავისუფლებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღირებულებაა.

როგორც ტერმინი „ლესბოსელის“ მნიშვნელობა იყო დაყვანილი შეზღუდულ, კლინიკურ მნიშვნელობებამდე თავის პატრიარქალურ დეფინიციაში, ქალების მეგობრობა და ამხანაგობა გამიჯნული იყო ეროტიკულიგან; ამგვარად, ვიწროვდებოდა თვითონ ეროტიკულის სფეროც. მაგრამ რაც უფრო

ვაღრმავებთ და ვაფართოებთ იმის სპექტრს, რასაც ლესბოსურ არსებობად განვმარტავთ, გადმოვცემთ ლესბოსურ კონტინუუმს, ვიწყებთ ეროტიკის აღმოჩენას ქალური გაგებით: რომელიც არ შემოიფარგლება სხეულის რომელიმე ნაწილით ან თვითონ სხეულით; რომელიც არამხოლოდ დიფუზიური, არამედ, როგორც ოდრი ლორდს აქვს აღწერილი, ყოვლისმომცველი ენერგიაა „სიხარულის გაზიარებაში, ფიზიკური იქნება ეს, ემოციური თუ ფსიქიკური,“ და შრომის გაზიარებაში; როგორც გამაძლიერებელი სიხარული, რომელიც უძლურებასთან ან სხვა მდგომარეობებთან, - რომელიც ჩემთვის მშობლიური არ არის, როგორიც არის დანებება, სასოწარკვეთილება, მალვა, დეპრესია, თვითდამცირება, შეგუების ნაკლებმოსურნეს გვხდის.“ (47) სხვა კონტექსტში, ქალებსა და შრომაზე წერისას, ავტობიოგრაფიული პასაჟი მოვიხმე, რომელშიც პოეტი ჰ.დ.-მ აღწერა, თუ როგორ ჯიუტად ამხნევებდა მისი მეგობარი ბრაიერი იმ წარმოსახვითი გამოცდილებით, რომელსაც მისი მოწიფული შრომისთვის უნდა მიეცა ფორმა:

„ვიცოდი, რომ ეს გამოცდილება, ეს კედლებზე წერა ჩემ წინ, არავისთან უნდა გამეზიარებინა იმ გოგოს გარდა, რომელიც ასე მამაცად იდგა ჩემ გვერდით. ამ გოგოს იმწამსვე ჰქონდა ნათქვამი: „გააგრძელე“. იგი იყო ის, ვისაც დელფოს ორაკულის განდეგილობა და მთლიანობა ჰქონდა. თუმცა, მე ვიყავი ის, ნაცემი და დაშლილი... ვინც სურათებს ხედავდა, და რომელიც ნაწერებს კითხულობდა ან შინაგან ხედვას მიჰყვებოდა. ან, შეიძლება, რაღაც გაგებით, ჩვენ ერთად „ვხედავდით“ ამას, რადგან უმისოდ, თავს დავდებ, ვერ გავაგრძელებდი.“ (48)

თუ მხედველობაში მივიღებთ შესაძლებლობას, რომ ყველა ქალი - დაწყებული ჩვილის მიერ დედის ძუძუს წოვიდან ზრდასრულ ქალამდე, რომელსაც ორგაზმული შეგრძნებებს ჰგვრის თავისი ჩვილისთვის ძუძუს წოვება, რითაც შეიძლება საკუთარი დედის რძის გემოს იხსენებდეს; ქალებამდე, რომლებიც, ვირჯინია ვულფის ქლოესა და ოლივიას მსგავსად, შრომას ინაწილებენ (49); 90 წლის მომაკვდავ ქალამდე, რომელსაც ქალები უვლიან, - ლესბოსურ კონტინუუმში ცხოვრობს, შეგვიძლია, საკუთარი თავი ამ კონტინუუმში დავინახოთ, წინ და უკან მოსიარულე, მიუხედავად იმისა, აღვიქვამთ თავს ლესბოსელად თუ არა. ის საშუალებას გვაძლევს, დავაკავშიროთ ქალთან იდენტიფიცირების მრავალრიცხოვანი ასპექტები, ისეთები, როგორებიცაა 8-9 წლის გოგოების თავხედური, ინტიმური მეგობრობა ან მე-12-15 საუკუნეების იმ ქალების გაერთიანება, რომლებიც ბეგუინებად არიან ცნობილი და რომლებიც „საცხოვრისს იყოფდნენ, ერთანეთს უთმობდნენ, გადასცემდნენ სახლებს რუმმეითებს... ქალაქის ხელოსანთა დასახლების იაფფასიან ბარაკებში“; რომლებიც „ქრისტიანულ სათნოებებს განასახიერებდნენ უბრალო ჩაცმითა და ცხოვრებით, კაცებთან მსგავსებების გარეშე“; რომლებიც სარჩოს თავად გამოიმუშავებდნენ მრთველებად, ხაბაზებად, მედდებად მუშაობით ან ახალგაზრდა გოგოებისთვის სკოლების გახსნით; და რომლებმაც შეძლეს, სანამ ეკლესია დაშლიდათ, ქორწინებისა და კონვენციური შეზღუდვებისგან დამოუკიდებლად ეცხოვრათ. (50) ეს საშუალებას გვაძლევს, დავაკავშიროთ ეს ქალები უფრო სახელგანთქმულ „ლესბოსელებთან“ ჩვ. წ. აღ.-მდე მეშვიდე საუკუნის საფოს ქალთა სკოლიდან; აფრიკელი ქალების საიდუმლო გაერთიანებებსა და ეკონომიკურ ქსელებთან; ქორწინების მოწინააღმდეგე ჩინელი ქალების თემთან - ქალებთან, რომლებიც უარს ამბობდნენ გათხოვებაზე, ან თუ დაქორწინდებოდნენ, ხშირად უარს ამბობდნენ თავიანთი ქორწინების რეალიზაციაზე და მალევე ტოვებდნენ ქმრებს - ერთადერთი ქალები ჩინეთში, რომლებსაც ფეხებს არ უკრავდნენ და რომლებიც, როგორც აგნეს სმედლი ამბობს, მიესალმებოდნენ გოგოების დაბადებას და წარმატებულ ქალთა გაფიცვებს აორგანიზებდნენ აბრეშუმის საწარმოებში. (51)

ეს საშუალებას გვაძლევს, დავაკავშიროთ და შევადაროთ ქორწინებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შეუდარებელი ინდივიდუალური შემთხვევები: მაგალითად, იმ ტიპის ავტონომია, რომელიც ემილი დიკინსონს ჰქონდა, მეცხრამეტე საუკუნის თეთრ გენიოს ქალს, შევადაროთ ზორა ნილ ჰარსტონისთვის, მეოცე საუკუნის შავკანიანი გენიოსი ქალისთვის ხელმისაწვდომ სტრატეგიებს. დიკინსონი, რომელიც არასოდეს დაქორწინებულა, იშვიათად ამყარებდა კაცებთან ინტელექტუალურ მეგობრობას, ცხოვრობდა

თავის ნებაზე მამამისის თავადურ სახლში და მთელი სიცოცხლის განმავლობაში წერდა მგზნებარე წერილებს თავის რძალს, სიუ ჯილბერტს, და მცირე რაოდენობით ამგვარ წერილებს სწერდა თავის მეგობარ კეიტ სკოტ ანთონს. ჰარსტონი ორჯერ დაქორწინდა, თუმცა ქმრები მალევე მიატოვა, ფლორიდიდან გეზი ჰარლემისკენ აიღო, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან - ჰაიტისკენ და ბოლოს უკან ფლორიდაში დაბრუნდა, წინ და უკან დადიოდა თეთრ პატრონაჟსა და სიღარიბეს შორის, პროფესიულ წარმატებასა და კრახებს შორის; მისი გადამრჩენელი ურთიერთობები ქალებთან იყო აგებული, დედამისიდან მოყოლებული. ორივე ეს ქალი, ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული შემთხვევების მიუხედავად, ქორწინეების მოწინააღმდეგე იყო, თავს უძღვნიდნენ საქმესა და საკუთარ თავს, და მოგვიანებით დახასიათებული იქნენ, როგორც „აპოლიტიკურები"; ორივე ინტელექტუალური თვისებების მქონე კაცებთან მეგობრობდა; ორივესთვის ქალები იყვნენ ცხოვრების საზრდო და გატაცება.

თუ ჰეტეროსექსუალობაზე ვიფიქრებთ, როგორც ქალებისთვის „ბუნებრივ" ემოციურ და ეროტიკულ მიდრეკილებაზე, დიკინსონისა და ჰარსტონის მსგავსი ცხოვრება დევიანტად, პათოლოგიურად ან ემოციურობისა და ეროტიკისგან განძარცვულად შეირაცხება. ანდა, ბოლოდროინდელი და მოქნილი ჟარგონით რომ ვთქვათ, „ცხოვრების სტილამდე" („lifestyle" - მთარგმნ.) ბანალურდება. ასეთი ქალების შრომა, იქნება ეს ინდივიდუალური თუ კოლექტიური გადარჩენისა და რეზისტენციის უბრალო ყოველდღიური საქმიანობა, გინდაც მწერლის, აქტივისტის, რეფორმატორის, ანთროპოლოგის, მხატვრის საქმე - თვითქმნის შრომა - დაუფასებელია; ან „პენისის შურის" მწარე ნაყოფად, ან დათრგუნული ეროტიზმის სუბლიმაციად, ან „კაცთმოძულეს" უშინაარსო გამოძახილად არის აღქმული. მაგრამ როდესაც ხედვის რაკურსს შევცვლით და მხედველობაში მივიღებთ იმ სიღრმესა და მეთოდებს, რომლითაც ჰეტეროსექსუალურ „პრეფერენსს" ახვევენ თავს ქალებს, არამხოლოდ ინდივიდუალური სიცოცხლისა და საქმის მნიშვნელობის სხვაგვარად გაგებას შევძლებთ, არამედ ქალთა ისტორიის ცენტრალური მოვლენის აღიარებას დავიწყებთ: რომ ქალები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ კაცების ტირანიას. ქმედების ფემინიზმი ხშირად, მაგრამ არა – ყოველთვის, თეორიის გარეშე, მუდმივად აღმოცენდებოდა ყველა კულტურასა და დროში. ჩვენ შეგვიძლია, დავიწყოთ ქალების ბრძოლის შესწავლა უძლურების წინააღმდეგ, ქალების რადიკალური აჯანყება არა მხოლოდ კაცების მიერ განსაზღვრულ „კონკრეტულ რევოლუციურ სიტუაციებში" (50), არამედ ყველა ვითარებაში, რომელთაც კაცური იდეოლოგიები არ აღიქვამენ რევოლუციურად: მაგალითად, ზოგიერთი ქალის უარი შვილის გაჩენაზე, დიდი რისკით მხარდაჭერილი სხვა ქალების მიერ; უარის თქმა კაცებისთვის უფრო მაღალი სტანდარტების ცხოვრებისა და თავისუფალი დროის უზრუნველყოფაზე (ლეგჰორნი და პარკერი აჩვენებენ, რომ ორივე მათგანი ნაწილია ქალების აუღიარებელი, აუნაზღაურებელი და გაუერთიანებული ეკონომიკური კონტრიბუციისა); რომ ქალების ანტიფალოსური სექსუალობა, რომელიც, როგორც ანდრეა დვორკინი წერს, „ლეგენდარული" იყო და რომელსაც „ფრიგიდულობად" და „პურიტანიზმად" განმარტავდნენ, სინამდვილეში კაცების ძალაუფლების დამხობის ფორმა იყო - „არაფექტური ამბოხება, თუმცა მაინც ამბოხება." (53) აწი ვეღარ შევიწყნარებთ დინერშტაინის მოსაზრებას, რომ ქალები მარტივად თანამშრომლობდნენ კაცებთან ისტორიის „სექსუალურ გარიგებებში"; ჩვენ ვიწყებთ ქცევაზე დაკვირვებას, ისტორიასა და ინდივიდუალურ ბიოგრაფიაში, რომელიც აქამდე უხილავი და უსახელო იყო; ქცევა, რომელიც ხშირად, კონკრეტულ დროსა და ადგილას წარმოშობილი კონტრძალის მოცემული შეზღუდვების მიუხედავად, წარმოადგენს რადიკალურ დაუმორჩილებლობას. და შეგვიძლია ეს ამბოხებები და მათი საჭიროებები დავაკშვიროთ ქალების ფიზიკურ ლტოლვებთან ქალების მიმართ, რომელიც ცენტრალურია ლესბოსური არსებობისთვის: ეროტიკული განცდა, რომელიც გამძვინვარებით, გულდაგულ წაშლილი ფაქტია ქალების გამოცდილებიდან.

ჰეტეროსექსუალობას ქალებს თავს ახვევდნენ ძალმომრეობითაც და ქვეცნობიერედაც, თუმცა ქალები ყველგან უწევდნენ მას წინააღმდეგობას, ხშირად ფიზიკური წამების, დაპატიმრების, ფსიქო-ქირურგიის,

სოციალური ოსტრაკიზმით და უკიდურესი სიღარიბის საფასურად. „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა“ დასახელებული იყო „ქალების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთაგან“ ერთ-ერთ დანაშაულად ბრიუსელში, 1976 წელს, ქალების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ტრიბუნალზე. ძალიან განსხვავებული კულტურების წარმომადგენელი ორი ქალის მიცემული ჩვენება წარმოაჩენს ლესბოსელების დევნის, როგორც გლობალური პრაქტიკის, ხარისხს აქ და ახლა. ნორვეგიის ანგარიშში წერია:

ოსლოში, ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში მყოფმა ლესბოსელმა ტრანკვილიზატორების მიღება დაიწყო, რის გამოც სამკურნალო სანატორიუმში აღმოჩნდა რეაბილიტაციისა და გამოჯანმრთელებისთვის... იმ წუთას, როცა მან საოჯახო ჯგუფური თერაპიისას თქვა, რომ მისი რწმენით ლესბოსელი იყო, ექიმმა უპასუხა, რომ ცდებოდა. ექიმის თქმით, ეს მის თვალებში ჩახედვით ამოიკითხა. მას იმ ქალის თვალები ჰქონდა, ვისაც სექსუალური აქტით დაკავება სურს ქმართან. ამგვარად, ის დაუქვემდებარეს ე.წ. „საწვრთნელ თერაპიას“. ის მოათავსეს კომფორტულ, თბილ ოთახში, შიშველი, საწოლზე და ერთი საათის განმავლობაში მის ქმარს უნდა... ეცადა, სექსუალურად აღეგზნო ის... იდეა ის იყო, რომ შეხება ყოველთვის უნდა დასრულებულიყო სექსუალური აქტით. ქალი უფრო და უფრო მეტად გრძნობდა ანტიპათიას. გული ერეოდა და „მკურნალობისგან“ თავის დასაღწევად შიგადაშიგ ოთახიდან გარბოდა. რაც უფრო მყარად ამტკიცებდა, რომ ლესბოსელი იყო, ძალადობრივი სექსუალური აქტი უფრო მრისხანე ხდებოდა. მკურნალობა ექვს თვეს გრძელდებოდა. ერთხელ ჰოსპიტალიდან გაქცევაც შეძლო, მაგრამ უკან მიიყვანეს. ისევ გაიქცა. მას შემდეგ მანდ არ ყოფილა. დასასრულს გაანალიზა, რომ ექვსი თვის განმავლობაში გაუპატიურების დანაშაულის მსხვერპლი იყო.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ეს არის ქალების სექსუალური მონობის მაგალითი, ბერის დეფინიციის თანახმად. და მოზამბიკიდან:

მოსჯილი მაქვს გადასახლებაში ცხოვრება, რადგან არ უარვყოფ, რომ ლესბოსელი ვარ; რომ, პირველეს ყოვლისა, თავს ვუძღვნი და ყოველთვის მივუძღვნი ქალებს. ახალ მოზამბიკში, ლესბოსელობა კოლონიალიზმისა და დეკადენტური დასავლური ცივილიზაციის დანატოვრად მიიჩნევა. ლებოსელები იგზავნებიან სარეაბილიტაციო ბანაკებში, თვიტკრიტიკის მეშვეობით საკუთარი თავის შესახებ სწორი კონტურების ასაგებად... თუ მაიძულებენ უარვყო ჩემი სიყვარული ქალების მიმართ, თუ ამგვარად უარვყოფ ჩემს თავს, შემეძლება უკან, მოზამბიკში დავბრუნდე და შევუერთდე ძალებს ერის შენების ამაღელვებელ და მძიმე ბრძოლაში, მათ შორის მოზამბიკელი ქალების გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. ეს არის, რაც არის: ან სარეაბილიტაციო ბანაკს გავრისკავ, ან გადასახლებაში დავრჩები. (54)

ვერც იმას დავასკვნით, რომ ქალებს, კეროლ სმიტ-როზენბერგის კვლევის რესპონდენტების მსგავსად, ვინც გათხოვდნენ, ქორწინებაში დარჩნენ, თუმცა არსებითად ემოციურ და ვნებით სამყაროში ცხოვრობდნენ, „ურჩევნოდათ“ ან „არჩეული ჰქონდათ“ ჰეტეროსექსუალობა. ქალები ქორწინებდებოდნენ იმიტომ, რომ ეს აუცილებლობა იყო, იმისათვის, რომ ეკონომიკურად გადარჩენილიყვნენ, იმისათვის, რომ შვილები ჰყოლოდათ, რომლებიც ეკონომიკური გაჭირვებისა და სოციალური განდეგილობისგან არ დაიტანჯებოდნენ; იმისათვის, რომ რესპექტაბელურ ადამიანად დარჩენილიყვნენ; იმისათვის, რომ ის გაეკეთებინათ, რის გაკეთებასაც მათგან მოელოდნენ, რადგან „არანორმალური“ ბავშვობებიდან წამოსულებს სურდათ, „ნორმალურობა“ ეგრძნოთ და იმიტომ, რომ ჰეტეროსექსუალური სიყვარული წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც დიდი ქალური თავგადასავალი, მოვალეობა და მიღწევა. ჩვენ შეიძლება, ერთგულად ან არაერთმნიშვნელოვნად ვემორჩილებოდით ინსტიტუტს, მაგრამ ჩვენი გრძნობები და ჩვენი ეროტიკული განცდები არც მოგვითვინიერებია და არც მასში გამოგვიკეტავს. არ

არსებობს სტატისტიკური მონაცემები ლესბოსელების რაოდენობის შესახებ, რომლებიც ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში რჩებოდნენ უმეტესი ცოხვრების განმავლობაში. მაგრამ ადრეულ ლესბოსურ პუბლიკაცია Ladder-ისთვის გაგზავნილ წერილში, სცენარისტ ლორეინ ჰანსბერს სათქმელი ჰქონდა:

ვეჭვობ, რომ გათხოვილი ქალების რაოდენობა, რომლებსაც ფიზიკურ-ემოციურ ურთიერთობის ქონა სხვა ქალებთან ურჩევნიათ, უფრო მაღალია, ვიდრე იგივე სტატისტიკა კაცებისთვის (რეალურად ასეთი სტატისტიკა ვერასოდეს ვერავის ექნება). როგორ შევძლებთ ქალების იმ რაოდენობის გამოცნობა დავიწყოთ, რომლებიც არ არიან მზად, განუდგნენ იმას, რასაც მთელი ცხოვრება ასწავლიდნენ, რაშიც არწმუნებდნენ, რომ მათი „ბუნებრივი“ ბედისწერა **და** ერთადერთი გზა იყო **ეკონომიკური** უსაფრთხოებისთვის. ჩანს, რომ ეს არის მიზეზი, თუ რატომ აქვს ამ კითხვას ამხელა მნიშვნელობა ქალებთან და არ აქვს კაც ჰომოსექსუალებთან მიმართებით... ძლიერმა და პატიოსანმა ქალმა, თუ აირჩევს, შეიძლება, გაწყვიტოს ქმართან ურთიერთობა და სხვა პარტნიორთან იქორწინოს, საზოგადოება კი იღელვებს, რომ ასე განქორწინებების რიცხვი მოიმატებს; მაგრამ, აშშ-ში არის რამდენიმე ადგილი, ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც მას შეუძლია იყოს ნებისმიერი ვიღაც, „უსახლკაროდან“ ახლო ნათესავამდე. რასაკვირველია, ასე არ მოხდება იმ ქალის შემთხვევაში, რომელიც ქორწინებას დაასრულებდა სხვა ქალთან ცხოვრების გასაგრძელებლად. (55)

ეს ორმაგი ცხოვრება - ეს აშკარა თანხმობა კაცურ ინტერესებსა და პრეროგატივაზე დაფუძნებული ინსტიტუტისადმი - ქალური გამოცდილების დამახასიათებელი იყო: დედობაში, ბევრი ტიპის ჰეტეროსექსუალურ ქცევაში, მათ შორის, ნიშნობის რიტუალში; მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში ცოლების პრეტენზია ასექსუალობაზე; სექს-მუშაკების, პროსტიტუტების, მეოცე საუკუნის „სექსუალურად გათავისუფლებული“ ქალების მიერ ორგაზმის სიმულაცია.

მერიდელ ლე სუარის დოკუმენტური რომანი „გოგო“ მკითხველს იპყრობს, როგორც ქალების ორმაგი ცხოვრების კვლევა. პროტაგონისტ სენტ პოლს, მუშათა კლასის არალეგალური ალკოჰოლური ბარის ოფიციანტს, ახალგაზრდა კაცი, სახელად ბუჩი, უვარდება გულში, თუმცა ქალი სასიცოცხლო მნიშვნელობის ურთიერთობებშია კლარასთან, ასაკით უფროს მიმტანსა და პროსტიტუტთან, ასევე ბელესთან, ვისი ქმარიც ამ ბარის მფლობელია და ამელიასთან, გაერთიანების აქტივისტთან. კლარასთვის, ბელესა და უსახელო პროტაგონისტისთვის კაცთან სექსი ყოველდღიური ვაებიდან გაქცევის საშუალებაა; მძაფრი გამონათება ნაცრისფერი, შეუბრალებელი, დღიდან დღემდე არსებობის ხშირად ბრუტალური ქსელიდან:

თითქოს მაგნიტივით მექაჩებოდა. ამაღელვებელი იყო, ძლიერი და საშიში. კუდში დამსდევდა და როცა მპოულობდა, მე გავრბოდი, ან ვშეშდებოდი, მის წინ მდგარი, ექსცენტრიულივით. და მან მითხრა, რომ კლარასთან აღარ მეხეტიალა მარიგოლდში, სადაც უცხოებთან ვცეკვავდით ხოლმე. მითხრა, რომ სულს გამაფრთხობინებდა, რამაც შემაჟრჟოლა და ამაცახცახა, მაგრამ ეს უკეთესი იყო, ვიდრე ტანჯვით სავსე ფუჩეჩად ცხოვრება, თანაც, რომ არ იცი - რატომ.

ორმაგი ცხოვრების თემა სიუჟეტთან ერთად ვითარდება; ბელე უხეშ ჩექმებიან ჰოინკთან იხსენებს თავის ქორწინებას:

იცი, აი, შავი თვალი რომ მქონდა და რომ ვთქვი კარადაზე ჩამოვარტყითქო, იმ ნაბიჭვარმა ქმნა, და მერე მეუბნება, რომ არავის ვუთხრა.... კერკეტი კაკალია, აი ვინ არის, კაკალი, ვერ ვხვდები, რატომ ვცხოვრობ მასთან, რატომ ვატარებ თუნდაც ერთ წუთს მასთან ერთად. მაგრამ მისმინე ბავშვო,

> მეუბნება ქალი, რაღაცას გეტყვიო. შემომხედა და მისი სახე მშვენიერი იყო. იესო ქრისტე, თქვა მან, ღმერთმა დასწყევლოს, მიყვარს, ეს არის, რის გამოც მთელი ცხოვრებაა, გამოჭერილი ვარ, ღმერთმა დასწყევლოს, მიყვარს. (57)

ბუჩთან პირველად სექსის შემდეგ პროტაგონისტის მეგობარი ქალები ბრუნავენ მის სისხლდენაზე, აძლევენ ვისკის, ადარებენ ანგარიშებს.

> ჩემი ბედი, პირველი იყო და პრობლემა შემექმნა, ცოტა ფული მომცა და სენტ პაულში ჩამოვედი, სადაც ათი დოლარის სანაცვლოდ ვეტექიმის უზარმაზარ ნემსს გიყრიან და შენ იწყებ და შენს ნებაზე ხარ... ბავშვი არასოდეს მყოლია. მხოლოდ ჰოინკი მყავდა, რომელსაც დედობას ვუწევდი, ჯოჯოხეთი ბავშვი კი არის.(58)

> მოგვიანებით მაიძულეს, კლარას ოთახში დავბრუნებულიყავი, დასაწოლად... კლარა ჩემ გვერდით დაწვა, ხელები შემომხვია და უნდოდა მომეყოლა ამის შესახებ, თუმცა უნდოდა, თავის შესახებ ეთქვა. თქვა, რომ ეს თორმეტი წლისამ დაიწყო ბიჭების ჯგუფთან ერთად, ძველ ფარდულში. თქვა, რომ მანამდე ყურადღებას არავინ აქცევდა და ძალიან პოპულარული გახდა.... თქვა, რომ მათ ეს მოსწონდათ, და რატომ არ მისცემდი ან საჩუქრებისა და ყურადღების მიღებაზე უარს რატომ იტყოდი? მე ეს არასოდეს მაინტერესებდა, არც დედაჩემს. მაგრამ ეს ერთადერთი ფასეული რამაა, რაც გაქვს. (29)

ამგვარად, სექსი გათანაბრებულია კაცის ყურადღებასთან, ვინც ქარიზმატულია, თუმცა ბრუტალური, ინფანტილური ან არასაიმედო. თუმცა მაინც ქალები არიან ისინი, ვინც ერთმანეთისთვის ცხოვრებას ასატანს ხდიან, ტკივილის გარეშე გასცემენ ფიზიკურ სითბოს, აზიარებენ, რჩევას იძლევიან, ერთმანეთს უდგებიან გვერდში *(„ვცდილობ, ძალა ვიპოვო ქალებს შორის; ჩემი მეგობრების გარეშე ვერ გადავრჩებოდი“).* ლე სუარის „გოგო“ პარალელს ავლებს ტონი მორისონის განუმეორებელ „სულასთან“, ქალური ორმაგი ცხოვრების კიდევ ერთ თვალსაჩინოებასთან:

> ნელი ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც სულამ მედალიონისგან უკან დაიხია... კაცები... ერთ ფართო პიროვნებაში ერთიანდებოდნენ: სიყვარულის იგივე ენა; სიყვარულის ერთნაირი გამოვლინებები, სიყვარულის ერთნაირად განელება. როცა კი თავის საიდუმლო ფიქრებს გაუზიარებდა, ისინი თვალებს ხრიდნენ. მათგან არაფერი უსწავლია, გარდა სასიყვარულო ხრიკებისა; არაფერი შეხვედრია, გარდა წუხილისა; არაფერი მიუღია, გარდა ფულისა. ყოველთვის მეგობარს მოელოდა და კარგი ხანი დასჭირდა იმის აღმოსაჩენად, რომ საყვარელი ამხანაგი არ იყო და არც არასოდეს იქნებოდა ქალისთვის.

მაგრამ სულას უკანასკნელი ფიქრი სიცოცხლის ბოლო წამებში იყო: „მოიცა, ნელს ვუთხრა“. სულას სიკვდილის შემდეგ, ნელი საკუთარ ცხოვრებას გადახედავს:

> „მთელი ეს დრო, მთელი ეს დრო, მეგონა, რომ ჯუდი მენატრებოდა.“ და დანაკარგი გულზე შემოაწვა, ყელზე მოებჯინა; „ჩვენ გოგოები ვიყავით ერთად“, ისე თქვა, თითქოს რაღაცის ახსნა უნდოდა. „ღმერთო, სულა“, - ტიროდა, „გოგო, გოგო, გოგო, გოგო!“. მთელი გულით ტიროდა; ხმამაღლა, დიდხანს, მაგრამ ამას არც თავი ჰქონდა და არც ბოლო, მხოლოდ წრეები და წრეები სევდის. (60)

„გოგო“ და „სულა“ ორივე ის რომანია, რომელიც ლესბოსურ კონტინუუმს წარმოაჩენს, ბოლო დროის კომერციული თხზულებების ზედაპირული და სენსაციური „ლესბოსური სცენებისგან“ განსხვავებით. (61) თითოეული გვაჩვენებს რომანტიზმის მიერ შეურყვნელ ქალად იდენტიფიცირებას (ლე სუარის რომანის დასასრულამდე); თითოეული აღწერს ჰეტეროსექსუალობის სავალდებულოობის შეჯიბრს ქალების

ყურადღებისთვის, ქალთა კავშირების დიფუზიასა და ფრუსტრაციას, რომელიც შეიძლება, უფრო ცნობიერი ფორმით, ხელახლა გაეერთიანებინა სიყვარულის ძალაუფლებას.

IV

ქალად იდენტიფიცირება ენერგიის წყაროა, ქალური ძალაუფლების საწყისია, ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუტის მიერ ძალადობრივად შეხუთული და აოხრებული. ქალების ქალებისადმი ვნების, ქალების მიერ ქალების ამხანაგებად, ცხოვრების პარტნიორებად და თემად არჩევის უხილავობა და რეალობის უარყოფა, ასეთი ურთიერთობების დამალვის იძულება და მათი ჩამოშლა ინტენსიური წნეხების მეშვეობით, ნიშნავს აუწონავ დანაკარგს ქალების ერთიანი ძალისთვის, *„შეგვეცვალა სქესების სოციალური ურთიერთობები, გაგვეთავისუფლებინა ჩვენი თავი და სხვები“*. სავალდებულო ქალური ჰეტეროსექსუალობის ტყუილი დღეს ეთანხმება არამხოლოდ ფემინისტ მკვლევარებს, არამედ თითოეულ პროფესიას, თითოეულ სარეფერენსო სამუშაოს, თითოეულ კურიკულუმს, თითოეული ორგანიზაციის მცდელობას, თითოეულ საუბარს, რომლის თავზეც ის გაინავარდებს. ის ქმნის განსაკუთრებით ღრმა სიყალბეს, თვალთმაქცობასა და ისტერიას ჰეტეროსექსუალურ დიალოგში და ყოველი ჰეტეროსექსუალური ურთიერთობა არსებობას განაგრძობს ამ ტყუილის გულისამრევი სინათლის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ავირჩიეთ საკუთარი თავის იდენტიფიცირება, აღმოვაჩინეთ ჩვენი თავი იარლიყმიკერებული, ის ჩვენს ცხოვრებას მაინც თავს დაპარპარებს და ამახინჯებს. (62)

ამ ტყუილს ურიცხვი ქალი ჰყავს გამოჭერილი ფსიქოლოგიურად, რომლებიც ცდილობენ, გონება, სული და სექსუალობა გამოწერილ სცენარს მოარგონ, რადგან არ შეუძლიათ მისაღების პარამეტრების გაღმა გაიხედონ. ის ასეთი ქალებს ენერგიას სწოვს, უფრო მეტიც კი, ენერგიის ბოლო წვეთს უშრობს „ჩაკეტილ“ ლესბოსელებს - ენერგიას, გალეულს ორმაგ ცხოვრებაში. „იატაქვეშეთში“გამოკეტილი ლესბოსელი, „ნორმალურობის“ რეცეპტების ტყვე ქალი, იზიარებს დაბლოკილი პერსპექტივების, დარღვეული კავშირების, თავისუფლად და მძალვრად თვითგანსაზღვრებაზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის ტკივილს.

ამ სიცრუეს ბევრი შრე აქვს. დასავლურ ტრადიციაში ერთი შრე არის რომანტიკული - თითქოს ქალები გარდაუვლად, უფრო დაუფიქრებლად და ტრაგიზმით, კაცებისთვის არიან შექმნილი; რომ, თუნდაც მაშინ, როცა მიზიდულობა სუიციდურია (მაგალითად, „ტრისტანი და იზოლდა“, კეიტ შოპენის „გამოღვიძება“)ის მაინც არის ორგანულად შთამბეჭდავი. სოციალური მეცნიერებების ტრადიციაში,ეს ნიშნავს იმას, რომ სქესებს შორის პირველადი სიყვარული „ნორმალურია“, რომ ქალებს *სჭირდებათ* კაცები, როგორც სოციალური და ეკონომიკური მცველები, მოწიფული სექსუალობისა და ფსიქოლოგიური სრულქმნისთვის; რომ ჰეტეროსექსუალების ოჯახი ფუნდამენტური საზოგადოებრივი ერთეულია; რომ ქალები, რომლებიც მთელი გრძნობებით არ მიელტვიან კაცებს, ფუნქციურად რომ ვთქვათ, უნდა დაისაჯონ უფრო დამანგრეველი გარიყულობით, ვიდრე მათი ქალობის ნიშნით გარიყულობაა. პატარა საოცრება: ლესბოსელებზე ჩივიან, რომ ისინი უფრო იმალებიან, ვიდრე კაცი ჰომოსექსუალები. შავკანიანი ლესბოსელი ფემინისტი კრიტიკოსი ლორენ ბეთელი წერს რა ნორა ნილ ჰარსტონის შესახებ, შენიშნავს, რომ შავკანიანი ქალისთვის, რომელიც ორმაგად გარიყულია, აირჩიოს კიდევ ერთი „საძულველი იდენტობის“ ტარება, ნამდვილად პრობლემურია. თუმცა, ლესბოსური კონტინუუმი შავკანიანი ქალებისთვის, აფრიკაშიც და აშშ-შიც, ყოველთვის იყო მთელი ცხოვრების გამჭოლი მოვლენა.

შავკანიან ქალებს შავკანიანთა და ქალთა თემში მჭიდრო კავშირების შექმნის ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ, რაც ხშირად გამხდარა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციის წყარო; რასაც ხშირად აღმოუჩენია ჩვენთვის ფსიქიკური და ემოციური მხარდაჭერა. ჩვენ გვაქვს შავკანიან ქალად იდენტიფიცირების გამორჩეული, სახალხო კულტურა, რაც ჩვენს, როგორც ამ საზოგადოებაში შავკანიანი ქალების, გამოცდილებებზეა დაფუძნებული; სიმბოლოები, ენა და გამოხატვის

ფორმები, რაც სპეციფიკურია ჩვენი ცხოვრებისეული სინამდვილეებისთვის. რადგანაც შავკანიანი ქალები იშვიათად იყვნენ იმ ქალებისა და შავკანიანი ადამიანების რიგებში, რომლებმაც არტისტული გამოხატვის ლიტერატურულ და სხვა აღიარებული ფორმებზე წვდომას მიაღწიეს, შავკანიან ქალთა კავშირები და შავკანიან ქალად იდენტიფიკაცია ხშირად დამალული და დაუარქივებელი დარჩა, გარდა ერთეული შავკანიანი ქალების ბიოგრაფიებისა, რომლებიც ერთი კონკრეტული შავკანიანი ქალური ტრადიციის ჩვენმა საკუთარმა მეხსიერებამ შემოინახა.

კიდევ ერთი შრე ამ სიცრუისა არის იმის იმპლიკაცია (რაც ხშირად ხდება), რომ ქალები ქალებისკენ კაცების სიძულვილის გამო იხრებიან. ღრმა სკეპტიციზმი, სიფრთხილე, პარანოია კაცების მიმართ შეიძლება, მართლაც იყო ჯანმრთელი ქალის პასუხის ნაწილი ქალების სიძულვილისადმი, რასაც კაცებით დომინირებულ კულტურაში აქვს ადგილი, იმ ფორმებისადმი, რომელსაც „ნორმალური“ კაცური სექსუალობა იღებს და თუნდაც „სენსიტიური“ ან „პოლიტიკური“ კაცების კრახის მიმართ, რომ აღმოაჩინონ და აღიქვან ეს პრობლემები. თუმცა ქალების სიძულვილს იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული კულტურაში, იმდენად „ნორმალური“ ჩანს ეს; როგორც სოციალური პრობლემა, ისეა უარყოფილი, რომ ქალებს, თუნდაც ფემინისტებსა და ლესბოსელებს, უჭირთ მისი იდენტიფიცირება, სანამ თავიანთ ცხოვრებაში არ იჩენს თავს მისი ზოგიერთი მუდმივად არასწორი და მსახვრალი ფორმა. საინტერესოდ მეჩვენება, რომ ლესბოსური ურთიერთობის შესახებ ყველაზე პოპულარული ციტატა ის არის, რომლითაც კოლეტის რენი, „ვაგაბონდში“, აღწერს „მელანქოლიურ და ემოციურ სურათს ორი სუსტი ქმნილებისა, რომლებსაც, დიდი ალბათობით, თავშესაფარი ერთმანეთის მკლავებში უპოვნიათ, იქ სძინავთ და იქ ტირიან, კაცებისგან უსაფრთხოდ, რომლებიც ხშირად სასტიკი არიან; საკუთარი თავის მოყვარედ, უსუსურად და დავიწყებულად განცდის - ნებისმიერ ნეტარებაზე უფრო ტკბილისა და მწარე ბედნიერების საგემად.“ (64) კოლეტი ხშირად მიიჩნევა ლესბოსელ ავტორად. ვფიქრობ, მისი პოპულარული რეპუტაცია მეტწილად სწორედ იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ იგი ლესბოსური არსებობის შესახებ წერს თითქოს კაცების აუდიტორიისთვის; მისი ადრეული „ლესბოსური“ მოთხრობები, კლოდინის სერიები, იწერებოდა მისი ქმრის ზეწოლის ქვეშ და გამოქვეყნებისას ორივეს სახელი მიეწერა. ნებისმიერ შემთხვევაში, გარდა მისი ნაწერებისა დედის შესახებ, კოლეტი იმაზე ნაკლებად სანდო წყაროა ლესბოსური არსებობის შესახებ ცოდნისათვის, ვიდრე, ალბათ, შარლოტ ბრონტე, რომელსაც ესმოდა, რომ ქალები არამხოლოდ შეიძლება, არამედ ვალდებულიც არიან, რომ ერთმანეთის დამხმარეები, მენტორები და კომფორტის შემქმნელები იყვნენ ქალების გადარჩენისთვის ბრძოლაში; რომ საუცხოო სიამოვნებას იწვევს ქალების კომპანია, ერთმანეთის გონებასა და თვისებებისადმი მიზიდულობა, რომელიც ერთმანეთის სიძლიერის აღიარებისგან წარმოიშობა.

ანალოგიურად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქალის საყვარლად ან ცხოვრებისეულ პარტნიორად არჩევას აქვს რაღაც ამომავალი ფემინისტური პოლიტიკური შინაარსი ინსტიტუციონალიზებული ჰეტეროსექსუალობის პირისპირ. (65) მაგრამ ლესბოსური არსებობისთვის ამ პოლიტიკური შინაარსის საბოლოო გათავისუფლების ფორმად გადაქცევას სჭირდება ეროტიკული არჩევანის გაღრმავება და განვრცობა ცნობიერად ქალად იდენტიფიცირებამდე, ლესბოსურ ფემინიზმამდე.

სამუშაოს, რომელიც მომავალშია ჩასატარებელი, რაც მკვდრეთით აღდგომასა და აღწერას გულისხმობს იმისა, რასაც მე „ლესბოსურ არსებობას“ ვუწოდებ, აქვს ყველა ქალის გათავისუფლების პოტენციალი. ეს არის ის საქმე, რომელიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, წინ უნდა გაიჭრას თეთრი და საშუალო კლასის დასავლელი ქალების კვლევების შეზღუდვებისგან და შეისწავლოს ქალთა ცხოვრება, შრომა და ჯგუფებად ჩამოყალიბების პროცესები თითოეული რასობრივი, ეთნიკური და პოლიტიკური სტრუქტურის შიგნით. გარდა ამისა, არსებობს განსხვავებები „ლესბოსურ არსებობასა“ და „ლესბოსურ კონტინუუმს“ შორის - განსხვავებები, რომელთა ამოცნობა ჩვენი საკუთარი ცხოვრების დინებაშიც შეგვიძლია. ლესბოსური კონტინუუმი, ჩემი აზრით, ქალების „ორმაგი ცხოვრების“ შუქზე განსაზღვრას საჭიროებს, იგი

მოიცავს არამხოლოდ ჰეტეროსექსუალად თვითდახასიათებულ ქალებს, არამედ თვითდახასიათებულ ლესბოსელებსაც. ჩვენ გვჭირდება ორმაგი ცხოვრების მიერ მიღებული ფორმების გაცილებით უფრო ამომწურავი გააზრება. ისტორიკოსებმა ყოველ ჯერზე უნდა იკითხონ, როგორ ორგანიზდა და შენარჩუნდა ჰეტეროსექსუალობა, როგორც ინსტიტუტი, ქალების სახელფასო ანაზღაურების სხვაობით, საშუალო კლასის ქალების „თავისუფალი დროით“ იძულებით, ე.წ. სექსუალური თავისუფლების გლამურიზაციით, ქალებისთვის განათლების შეზღუდვით, „მაღალი ხელოვნების“ და პოპულარული კულტურის იმიჯებით, „პირადი“ სივრცის მისტიფიცირებითა და ბევრი სხვ. ჩვენ გვჭირდება ეკონომიკა, რომელიც ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუტს მოიხელთებს, თავისი გაორმაგებული შრომის მოცულობით ქალებისთვის და შრომის სქესობრივი დანაწილებით ისევე, როგორც გააუვნებელყოფს ყველაზე იდეალიზებულ ეკონომიკური ურთიერთობებს.

გარდაუვალია შეკითხვა: ყველა ჰეტეროსექსუალური ურთიერთობა უნდა დავგმოთ, იმათი ჩათვლით, რომლებიც ნაკლებად მჩაგვრელობითია? მჯერა, რომ ეს კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გულიდან შეიძლება მოდიოდეს, არასწორია. ეს ცრუ დიქოტომიების ლაბირინთებში მოგვამწყვდევს, შეცდომაში შეგვიყვანს, რაც ხელს შეგვიშლის ინსტიტუტის, როგორც ერთი მთლიანის, მოხელთებაში: „კარგი“ ქორწინებები „ცუდის“ წინააღმდეგ; „სიყვარულით დაქორწინება“ „გარიგებით ქორწინების“ წინააღმდეგ; „“გათავისუფლებული“ სექსი პროსტიტუციის წინააღმდეგ, ჰეტეროსექსუალური აქტი გაუპატიურების წინააღმდეგ; სიყვარულის ტკივილი დამცირებისა და დამოკიდებულების წინააღმდეგ. ინსტიტუციის შიგნით, რა თქმა უნდა, არსებობს თვისებრივი სხვაობები გამოცდილებებს შორის, ქალები დამოკიდებული დარჩებიან კონკრეტული ურთიერთობის ბედსა თუ შანსებზე და არ ექნებათ კოლექტიური ძალაუფლება, განსაზღვრონ სექსუალობის მნიშვნელობა და ადგილი თავიანთ ცხოვრებაში. რამდენადაც მივემართებით თვითონ ინსტიტუტს, ვიწყებთ ქალების იმ რეზისტენციის ისტორიის აღქმას, რომელსაც საკუთარი თავი ბოლომდე არასოდეს შეუცვნია, რადგან მეტად ფრაგმენტირებული, სახელშეცვლილი და წაშლილი იყო. ის მოითხოვს გაბედულად ხელის ჩავლებას ჰეტეროსექსუალობის პოლიტიკისა და ეკონომიკისთვის, ისევე, როგორც კულტურული პროპაგანდისთვის, რათა გაგვიყვანოს ინდივიდუალური შემთხვევებიდან თუ სხვადასხვაგვარი ჯგუფური სიტუაციებიდან კომპლექსური ხედვაში, რაც აუცილებელია კაცების ძალაუფლების უკუსაგდებად, რომელსაც ისინი ფლობენ ქალებზე, იმ ძალაუფლების უკუსაგდებად, რომელიც ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისა და უკანონო კონტროლის მოდელად არის ქცეული.

მონტეგი, მასაჩუსეტსი

სარჩევი:

1. Alice Rossi, "ბავშვები და შრომა ქალების ცხოვრებაში," paper delivered at the University of Arizona, Tucson, თებერვალი 1976.

2. Doris Lessing, The Golden Notebook (1962; New York: Bantam Books, 1977), P.480.

3. Nancy Chodorow, The Reproduction of Mothering (Berkeley: University of California Press, 1978); Dorothy Dinnerstein, The Mermaid and the Minotaur: Sexual Arrangements and the Human Malaise (New York: Harper and Row, 1976); Barbara Ehrenreich and Deirdre English, For Her Own Good: 150 Years of the Experts' Advice to Women (Garden City, N.Y.: Doubleday/& Anchor, 1978); Jean Baker Miller, Toward a New Psychology of Women (Boston Beacon Press, 1976).

4. შემეძლო, ბევრი სხვა სერიოზული და გავლენიანი უახლესი წიგნი ამერჩია, მათ შორის ანთროპოლოგები, რომლებიც იმავე მოსაზრების ილუსტრირებას მოახდენდნენ, მაგ: Our Bodies, Ourselves, the Boston Women's Health Collective-ის ბესტსელერი (New York: Simon and Schuster. 1976), რომელიც უძღვნის გამოყოფილ (და არადეკვატურ) თავს ლესბოსელებს, მაგრამ ვისი მესიჯიც ისაა, რომ ჰეტეროსექსუალობა ქალთა უმეტესობის ცხოვრებისეული პრეფერენსია; Berenice Carroll, ed., Liberating Women's History: Theoretical and Critical Essays (Urbana: University of Illinois Press, 1976), რომელიც თუნდაც ტოკენისტურ ესესაც კი არ შეიცავს ისტორიაში ლესბოსელთა არსებობის შესახებ. თუმცა Linda Gordon, Persis Hunt, et al.-ის ესეები შენიშნავენ, რომ კაცი ისტორიკოსების მიერ „სექსუალური დევიაციის“ გამოყენება, როგორც კატეგორიისა, ემსახურება Anna Howard Shaw-ის, Jane Addams-ის და სხვა ფემინისტების დისკრედიტაციასა და განულებას ("Historical Phallacies: Sexism in American Historical Writing");

5. Jonathan Katz, Gay American History (New York: Thomas Y. Crowell, 1976).

6. Nancy Sahli,,"Smashing: Women's Relationships Before the Fall," Chrysalis:. A Magazine of Women's Culture 8(1979): 17-27.

7. ეს არის წიგნი, რომელსაც საჯაროდ ვიწონებ. მიუხედავად ზემოთ გამოხატული პროტესტისა, ამას მაინც ვიწონებ. ამ სტატიის წერის დასაწყისიდან ერთადერთი რამ, რითაც სრულიად აღფრთოვანებული ვარ, არის ის, თუ რამდენად დიდია ერენრაიხისა და ინგლიშის წიგნში მხილებული კითხვა.

8. Kathleen Barry, Female Sexual Slavery (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1979); Susan Brownmiller, Against Our Will: Men, Women, and Rape (New York: Simon and Schuster, 1975); Mary Daly, Gyn/Ecology: The Meta-Ethics of Radical Feminism (Boston: Beacon Press, 1978); Susan Griffin, Woman and Nature: The Roaring Inside Her (New York: Harper and Row, 1978); Diana Russell and Nicole van de Vens, eds., Proceedings of the International Tribunal on Crimes Against Women (Millbrae, Calif.: Les Femmes, 1976).

9.Dinnerstein, Mermaid, p. 272.

10. Daly, Gyn/Ecology. pp. 184--85; 114 33.

11. Chodorow, Reproduction of Mothering, pp. 197-98.

12. Ibid., pp. 198-99.

13. Ibid., p. 200.

14. Kathleen Gough, "The Origin of the Family," in Toward an Anthropology of Women, ed. Rayna Reiter (New York: Monthly Review Press, 1975). pp. 69-70.

15. Barry, Female Sexual Slavery, pp. 216-19.

16. Anna Demeter, Legal Kidnapping (Boston: Beacon Press, 1977), pp. xx, 126-28.

17. Daly, Gyn/Ecology, pp. 132, 139-41, 163-65.

18. Barbara Ehrenreich and Deirdre English, Witches, Midwives, and Nurses: A History of Women Healers (Old Westbury, N.Y.: Feminist Press, 1973); Andrea Dworkin, Woman Hating, (New York: E.P. Dutton, 1974), pp. 118-54; Daly, Gyn/ Ecology, pp. 178-222.

19. See Virginia Woolf, A Room of One's Own (London: Hogarth Press, 1929). and idem, Three Guineas (l938; New York: Harcourt Brace,1966); Tillie Olsen, Silences (Boston: Delacorte Press, 1978); Michelle Cliff, "The Resonance of Interruption," Chrysalis: A Magazine of Women's Culture 8 (1979): 29-37.

20. Mary Daly, Beyond God the Father (Boston Beacon Press, 1973), pp. 347-51; Olsen, Silences, pp. 22 46.

21. Daly, Beyond God The Father, p. 93.

22.Fran P. Hosken, "The Violence of Power: Genital Mutilation of Females, "Heresies 6 (1979): 28-35; Russell and van de Ven, Proceedings, pp. 194-95.

23. Barry, Female Sexual Slavery, pp. 163-64.

24. „ლესბოსური სადომაზოხიზმის“ საკითხს სჭირდება დომინანტური კულტურების მიერ სქესებს შორის ურთიერთობისა და ძალადობის სწავლებების მიხედვით კვლევა და ასევე ზოგიერთი ლესბოსელის ან კაცი ჰომოსექსუალის მორალის მიღება. მჯერა, ეს იქნება ქალების ორმაგი ცხოვრების კიდევ ერთი მაგალითი.

25.Catherine A. MacKinnon, Sexual Harassment of Working Women: A Case of Sex Discrimination (New Haven, Conn.: Yale University Press, 1979), pp. 15-16.

26. Ibid., p. 174.

27. Brownmiller, Against Our Will.

28. MacKinnon, Sexual Harassment, p. 219. Susan Schecter წერს: "ჰეტეროსექსუალური გაერთიანებისთვის იმდენად ძლიერი, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს, რომ იგი გადაიქცა კულტურულ ძალად, რაც თავისთავად ქმნის ძალადობას. რომანტიკული სიყვარულის იდეოლოგია და მისი ეჭვნარევი ფლობა პარტნიორისა, როგორც საკუთრების, ქმნის იმ მასკარადს, რაც შეიძლება წარმოუდგენელ ძალადობად იქცეს (Aegis: Magazine on Ending Violence Against Women [July-August 1979]: 50-51).

29. MacKinnon, Sexual Harassment, p. 298.

30. Ibid., p. 220.

31. Ibid., p. 221.

32. Barry, Female Sexual Slavery.

33. Ibid., p. 33.

34. Ibid., p 103.

35. Ibid., p. 5.

36. Ibid., p. 100.

37. Ibid., p. 218.

38. Ibid., p. 140.

39. Ibid., p. 172

40. სადღაც ვამბობდი, რომ კაცის მიერ იდენტიფიცირება ძლიერი წყარო იყო კაცების კოდექსისა და სისტემების, ვინც აქტიურად ებრძოდნენ მას (Adrienne Rich, “Disloyal to Civilization: Feminism, Racism, Genephobia,” in On Lies, Secrets and Silence: Selected Prose, 196601978 [New York: W.W. Norton, 1979]).

41. Barry, Female Sexual Slavery, p. 220.

42. Susan Cavin, “Lesbian Origins,” Ph.D diss., Department of Sociology, Rutgers, The State University of New Jersey, 1978, chap. 6.

43. ჰეტეროსექსუალობის ჩემებური გაგებისთვის, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტის, მადლობელი ვარ Lisa Leghorn and Katherine Parker-ის, რომლებმაც საშუალება მომცეს წამეკითხა მათი წიგნის გამოუქვეყნებელი ხელნაწერი: Woman’s Worth: Sexual Economics and the World of Women (London and Boston: Routledge and Kegan Paul, 1981).

45. Daly, Gyn/Ecology, p. 15.

46. „მტრულ სამყაროში, რომელშიც ქალები განწირული არიან გარდა იმ შემთხვევისა, როცა კაცებთან ურთიერთობაში არიან და მათ ემსახურებიან, ქალების მთელი თემები უბრალოდ აღიგავა. ისტორია მარხავს იმას, რის უარყოფასაც ახდენს“ (Blanche W. Cook, “Women Alone Stir My Imagination: Lesbianism and the Cultural Tradition,” Signs 4, no. 4 [Summer 1979]; 719- 20]. The Lesbian Herstory Archives in New York City - არის ერთი მცდელობა შემოინახოს ლესბოსური არსებობის ამსახველი თანამედროვე დოკუმენტები - პროექტს უზარმაზარი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს, თუმცა ურთიერთობების, ქსელების, თემების წინააღმდეგ მიმართულ ჯერ კიდევ მოქმედ ცენზურას აწყდება სხვა არქივებში და კულტურის სფეროს სხვა წერტილებში.

47. Audre Lorde, Uses of the Erotic: The Erotic as Power, Out & Out Books Pamphlet No. 3 (New York: Out & Out Books [476 2d Street, Brooklyn, New York 11215], 1979)

48. Adrienne Rich, “The conditions for Work: The common World of Women,” in On Lies, Secrets, and Silence, p. 209; H.D., Tribute to Freud (Oxford: Carcanet Press, 1971), pp. 50-54.

49. Woolf, A Room of One’s Own, p. 126.

50. Gracia Clark, “The Beguines: A Mediaeval Women’s Community,” Quest: A Feminist Quarterly 1, no. 4 (1975): 73-80.

51. იხ. Denise Paulme, ed., Women of Tropical Africa (Berkeley: University of California Press, 1963), pp. 7, 266-67. ზოგიერთი ეს ამბავი აღწერილია „კაცი ელემენტების წინააღმდეგ თავდაცვის სინდიკატის

სახეობა“ - მათი მიზანია „მჩაგვრელ პატრიარქატს შეახვედროს შეთანხმებული რეზისტენცია“, დამოუკიდებლობა ცოლისა და ქმნრის ურთიერთობაში და დედობასთან, ურთიერთდახმარებასა და პიროვნულ შურისძიებასტან მიმართებაში. იხ. აგრეთვე Audre Lorde, “Scratching the Surface: Some Notes on Barriers to Women and Loving,” Black Scholar 9, no. 7 (1978): 31-35; Marjorie Topley, “Marriage Resistance in Rural Kwangtung,” in Women in Chinese Society, ed. M. Wolf and R. Witke (Stanford, Calif.: Stanford University Press, 1978), pp. 67-89; Agnes Smedley, Portraits of Chinese Women in Revolution, ed. J. MacKinnon and S. MacKinnon (Old Westbury, NY: Feminist Press, 1976), pp. 103-10.

52. იხ. Rosalind Petchesky, “Dissolving the Hyphen: A Report on Marxist-Feminist Groups 1-5,” in Capitalist Patriarcy and the Case for Socialist Feminism, ed. Zillah Eisenstein (New York: Monthly Review Press, 1979) p. 387.

53. Andrea Dworkin, Pornography: Men Possessing Women (New York: G. P. Putnam Sons, 1981).

54. Russell and van de Ven, Proceedings, pp. 42-43, 56-57.

55. დავალებული ვარ Jonathan Katz-ის Gay American History-გან, ჩემი ყურადრების მიპოყრობის გამო Hansberry-ის წერილებისადმი.

56. Meridel LeSueur, The Girl (Cambridge, Mass.: West End Press, 1978), pp. 10-11. LeSueur აღწერს შემდგომში, როგორ წარმოიშვა ეს წიგნი „მუშათა ალიანსის“ წევრი ქალების ნაწერებიდან და ზეპირი მონათხრობებიდან, დიდი დეპრესიის დროს.

57. Ibid., p. 20.

58. Ibid., pp. 53-54

59. Ibid., p. 55.

60. Toni Morrison, Sula (New York: Bantam Books, 1973), pp. 103-4, 149. I am indebted to Lorraine Bethel’s essay, “This Infinity of Conscious Pain: Zora Neale Hurston and the Black Female Literary Tradition,” in All the Women Are White, All the Blacks Are Men, But Some of Us Are Brave: Black Women’s Studies, ed. Gloria T. Hull, Patricia Bell Scott, and Barbara Smith (Old Westbury, N.Y.: The Feminist Press, 1982.)

61. იხ. Maureen Brady and Judith McDaniel, “Lesbians in the Mainstream: The Image of Lesbians in Recent Commercial Fiction,” Conditions 6 (1979).

62. იხ. Russell and van de Ven, Proceedings p. 40: „ცოტა ჰეტეროსექსუალი ქალი აანალიზებს, რომ საკუთარი სექსუალობის შესახებ თავისუფალ არჩევანს მოკლებულნი არიან; და ცოტა აანალიზებს იმას, თუ როგორ და რატომ წარმოადგენს სავალდებულო ჰეტეროსექქსუალობა მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს.

63. Bethel, “This Infinity of Conscious Pain.”

64. დინერშტაინი, ერთ-ერთი ახალი მწერლია, რომელიც ამ პასაჟს ციტირებს და ავისმომასწვლებლად დასძენს: „მაგრამ, რაც მის მოსაზრებას უნდა დაემატოს, ის არის, რომ ეს ქალები ერთმანეთს თავშესაფარს უქმნიან არა მხოლოდ იმისგან დასაცავად, რისი გაკეტებაც მათთვის კაცებს სურთ; არამედ იმისგანაც, რისი გაკეთებაც მათ ერთმანეთისთვის სურთ“ ” (The Mermaid, p. 103). თუმცა, ფაქტია, რომ

ქალებს შორის ძალადობა არის ზღვაში წვეთი კაცების მიერ ქალებზე ძალადობის სამყაროში, თანაც ისე რომ ეს ძალადობა ხდება და რაციონალიზებულია ყველა სოციალურ ინსტიტუტში.

65. Conversation with Blanche W. Cook, New York City, March 1979.